საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი, 16 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთის ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 15 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომის (15 × 2) 500 მანეთი. ნახატი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 261 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 261

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ღრმათ დამწუხრებულნი დედა ნინო ჯაიანისა, ძმა ვალოდია, მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს პირველის ძვირფასი შვილის და მეორეს დის
ნადია ჯაიანის
უდროოთ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 16 ნოემბერს, კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე.
(უფ. 1—1)

თავზარდაცემული მამა მასიკო, ბიცოლა ესმა შვილებით: ნინო, ალექსანდრე და გოგითი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარის მე-III კლ. მოწაფის
სერგო ასამბაძის
უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი ყოველდღე რკ. გზ. სავათმყოფოს ეკლესიაში. დაკრძალვა 18 ნოემბერს ხუთშაბათს 3 საათზე
(3688—2—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტ.—რუსთ. პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

დღეს, ნოემბრის 16-ს
მსხვერპლი
ი. გედევანიშვილისა.
ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.
რეჟისორი ალ. წუწუნავა.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შაბათს, ნოემბრის 20-ს
უგვირგვინო მეფენი
ალ. შანშიაშვილისა.
ახალი დეკორაციები და ტანისამოსი მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.
რეჟისორი აკაკი ფაღავა.
(ნ. 1—1)

ჩამოვიდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს
დელეგაცია
და დაბინავდა ჩრდილოეთის ნომრებში ოთახი № 35. დელეგაციის თავმჯდომარე ღებულობს ყოველ კვირას გარდა 12 საათ. 2 საათამდე.
(3684—7—1)

ვყიდი
ხელმისაწვდომ ფასებში: ხე-ტყის მასალას, კრამიტს დამზადებულ კარ-აკოშკებს, ჩარჩოებს, ლამფას, რეიკებს და სხვა შენობის საჭირო მასალას. საბურთალოზე იტალიურ რადიოს პირდაპირ. საშა ბასინოვი. (3605—2—1)

საჯარო ვაჭრობა
8000 ვედრა ვარცხის მამულის ძველ ღვინოზედ დანიშნული არის 25 ნოემბრის 12 საათზედ. მთავრობის შენობაში სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში.
(3687—2—1)

ქალთა სავათმყოფო
ექ. მ. მ.
მიკირტიჩიანცისა
მშობიარეთა მიღება ყოველ დროს დღისით და ღამით. ავადმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. ბებუთოვის ქ. № 58.
(3459 3—2)

ხელშეკრულება

ბოლოს, როგორც იქნა დიდის ხნის ცდისა და წვალების შემდეგ დადებულ იქნა სატრანზიტო ხელშეკრულება ჩვენსა და აზერბეიჯანს შორის, საბჭოთა რუსეთთან ერთად.

ხელშეკრულების დაწვრილებით გარჩევას ამ ჟამათ ჩვენ არ შევუდგებით. ამის საშუალება გვექნება თვით ხელშეკრულების გამოქვეყნების შემდეგ.

ახლა კი ვსთქვით: ჩვენ მოხარული ვართ, რომ ბოლოს და ბოლოს გონიერმა მოსაზრებამ და ურთიერთი ინტერესების შეგნებამ სძლია ის ყრუ უკმაყოფილება, რომელიც პარტიული ქინიანობით და ურატაქტიკის მიმდევრობით იყო გამოწვეული.

ჩვენი მხრით ჯერ კიდევ არ გვაქვს სრული იმედი იმის, რომ ამ ხელშეკრულებასაც ისეთივე ბედი არ ეწვევა, როგორც ესტაფეტის საზავო პირობას. არა გვაქვს, რამდენათაც იგი ახლობელ მეზობლებისაგან არის დამოკიდებული. სამაგიეროთ იმედს იძლევა საბჭოთა რუსეთის მონაწილეობა ამ ხელშეკრულებაში. მოსკოვი უფრო შორსმჭვრეტელია, და არ შეიძლება არ ხედავდეს ასეთ ხელშეკრულების ყველა დადებით მხარეებს.

მიუხედავათ ამისა ამ საერთო უნდობლობის და უპირობის ხანაში, ზედმეტი არ იქნება ერთხელ კიდევ გავუსვათ ხაზი ჩვენსა და საბჭოთა ქვეყნებს შორის ეკონომიურ ურთიერთობის დიდ მნიშვნელობას.

საქართველოს რუსეთისა და აზერბეიჯანიდან ესაჭიროება უმთავრესად ნავთი და პური. პურის მიღებაზე ამ ჟამად ლაპარაკიც მეტია, ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის კატასტროფიულ მდგომარეობის გამო. რუსეთი თვით განიცდის ამ მხრივ საშინელ შიმშილს.

ნავთის პროდუქტები კი შეუძლიათ მოგვაწოდონ ბაქოდან. სამაგიეროთ ჩვენგან რუსეთი და აზერბეიჯანი მიიღებს საშუალებას—ნავთის პროდუქტები ბათომის ნავთსადგურიდან გაიტანოს უცხოეთში, ხოლო იქიდან შემოიტანოს თავისთვის საჭირო მასალები და ნაწარმოები. ამ მხრივ საქართველოს რკინის გზა, რომელიც წინეთაც დიდ სატრანზიტო გზათ ითვლებოდა, დაუფასებელ სამსახურს გაუწევს რუსეთს და აზერბეიჯანს.

თვით საქართველოდანაც მათ შეეძლებათ გაიტანონ ტყის და სხვა ნედლი მასალა, რომელიც ყოველ შემთხვევაში ნაკლები ღირებულების არ იქნება, ვინემ ნავთის პროდუქტების ის რაოდენობა, რომელიც საქართველოს ესაჭიროება.

ამ რიგათ საქართველოსთან ხელშეკრულება ერთის მხრით უზრუნველყოფს ნაწილობრივ მაინც უსაქონლობით დამშეული რუსეთის ბაზრის მოთხოვნილებას, მეორე მხრივ გაამაგრებს ეკონომიურ ურთიერთობის ნიადაგზე პოლიტიკურ ურთიერთობასაც.

ჩვენთვის კი ნავთის პროდუქტებზე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ამ პოლიტიკურ მომენტს. მართალია ასე სწრაფათ არ შეიცვლება ბუნტარული ბუნება კომუნიზმისა, მაგრამ საღი პოლიტიკური ინსტიქტი მაინც შეაკავებს მათ თავს ისეთ ნაბიჯებისაგან, რომელსაც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ჩვენი რესპუბლიკის არსებობისათვის.

ამ ეკონომიურ თანამშრომლობის ნიადაგზე, ჩვენ გვგონია, უნდა განელდეს უნდობლობის ატმოსფერა და დავუახლოვდეთ ნორმალურ სახელმწიფოებრივ ურთიერთობას.

ეს თავის მხრივ შლის ჩვენს წინ ზოგიერთ მნიშვნელოვან ეკონომიურ პერსპექტივებსაც. საქართველო და რუსეთის მახლობელი ნაწილები მაინც უკანასკნელ დრომდე დიდი და მჭიდრო ეკონომიური კავშირით იყვნენ გადაბმული ერთი მეორეზე: საქართველოს მრავალი მასალა და ნაწარმოები რუსეთის ბაზარზე გაქონდა და მრავალი ნაწარმოები იქიდან შემოქონდა. ამ ბაზრის დახურვამ დიდი მტკივანი ადგილი შექმნა ჩვენს მეურნეობაში და ჩვენი მეზობელი მხარეების მეურნეობაშიაც. მართალია, რამდენიმეთ ნორმალური მდგომარეობის შექმნამდე ჩვენს გარშემო, ამ ძაფების კვლავ აღდგენა ვერ მოხერხდება, მაგრამ იგი ყოველ შემთხვევაში ყურადღებიდან არ უნდა გამოვუშვათ. ევროპასთან კავშირი დიდებული საქმეა, მაგრამ მეზობლები მაინც თავის მახლობელ ბაზას ქმნიან ეკონომიური ურთიერთობის გასაღებელათ.

პირველი სატრანზიტო ხელშეკრულება, თუ ის ესტაფეტის ხელშეკრულების ბედს არ გაიზიარებს, დიდი და ძლიერი ფაქტორი შეიქმნება ამ ურთიერთობის აღდგენის საქმეში. საქონლის შეზიდვა ჩვენს მეზობელ ქვეყნებში გააცხოველებს იქ ეკონომიურ საქმიანობას, რაშიაც ჩვენც დაინტერესებული ვართ. კვლავ აღდგენა ნორმალური ეკონომიური კავშირის—გააცხოველებს მეორე მხრივ ჩვენშიც წარმოების იმ დარგებს, რომელნიც რუსეთთან კავშირის მოშლამ ჩამოაქვეითა.

აი ამ პერსპექტივის მიხედვით ვაფასებთ ჩვენ ამ პირველ ეკონომიურ ხელშეკრულებას. იგი უშედეგოთ ჩაიფერფლება, თუ ასეთი განვითარება არ მიიღო სხვა [illegible] ხელშეკრულების სახით, რომელიც მას უნდა მოჰყვეს. ამიტომ ჩვენი გულწრფელი სურვილია ხელშეკრულება იქცეს საქმეთ და გაამართლოს ის იმედები, რომელიც მასთან დაკავშირებულია.

ჩვენ გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მნიშვნელობა 14 ნოემბრის ნაბიჯის შეგნებული იქნება ჩვენი მეზობლებისაგან და შესაფერი ნაბიჯების გადადგმა არ დაყოვნდება.

პასუხი „ახალ სხივს“

„ახალი სხივის“ უკანასკნელი ნომერი თავს იმართლებს ჰალარას წერილის დაბეჭდვის გამო და გაკვირვებით ამბობს: „არ გვეგონა თუ ამხ. ჰალარას წერილი ამდენ აურზაურს გამოიწვევდაო“.

საქმეც იმაშია, რომ „ახალ სხივს“ არ ეგონა თუ აღნიშნული წერილი „ამდენ აურზაურს გამოიწვევდა“. ჩვენ სწორეთ „ახ. სხივის“ ეს—„არ გვეგონა“ გვაკვირვებს! ჰალარამ საქვეყნოთ განაცხადა რომ **„მუშათა კლასმა თავის სისხლით მხოლოდ რამდენიმე ძველი ამხანაგისათვის მოიპოვა უზრუნველყოფილი ცხოვრება და მეტი არაფერიო“**. (ხაზი ჩვენია).

ჩვენ სწორეთ ის გვაწუხებს, რომ თქვენ არ გაკვირვებთ ასეთი სიტყვები, ბეჭდავთ მას და ამართლებთ კიდეც! თუ თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ ზემოთ მოყვანილი დებულება მართალია, თუ თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ რევოლიუციას გარდა „რამდენიმე ამხანაგის უზრუნველყოფისა, არაფერი მიუცია“,—სთქვით ეს გადაჭრით. მარა ახლა თქვენც და ჰალარაც ცდილობთ თქვენს გაზეთში დაბეჭდილი ეს სიტყვები დაივიწყოთ და გადაიტანოთ დავა ბოროტ-მოქმედების მხილებაზე. ეს არ არის ჩვენ შორის სადავო. სადავოა მხოლოდ ის, რომ თქვენ ნებას აძლევთ ჰალარას ასეთი დაუშვებელი და ყოველივე სიმართლეს მოკლებული ბრალდებები წამოაყენოს **„რამდენიმე ძველი ამხანაგის“** მიმართ და მათ წინააღმდეგ მტრული განწყობილების ატმოსფერა შექმნას. თქვენ არამც თუ ნებას აძლევთ, ამ საქციელს ამართლებთ და ამ არა-ამხანაგური სიტყვების წამომწყებს იცავთ კიდეც. ჰალარას წერილი და მისი აზრები მკაფიო გამოხატულებაა იმის, რასაც მიზნათ ისახავს „ახალი სხივი“. აი რატომ არის ის საყურადღებო და ანგარიშგასაწევი. და როცა თქვენ ეს არაფრათ მიგაჩნიათ, ამით თქვენ საბოლოოდ ამჟღავნებთ თქვენ გულის ნადებსაც.

„ახალი სხივი“ ხშირათ ლაპარაკობს „გამთიშველ პოლიტიკაზე“, რომელსაც თურმე ჩვენ ვაწარმოებთ. საკვირველია! „ახალი სხივი“ თავიდანვე გამთიშველი პოლიტიკის მატარებელი იყო, და ჩვენ კი გვაბრალებს ასეთი პოლიტიკის წარმოებას და ეს მაშინ, როცა ჩვენ უკანასკნელ დრომდე ძალიან ნაკლებს ყურადღებას ვაძლევდით „ახ. სხივის“ მოღვაწეობას.

ნუ თუ პრესის განყოფილებაში მოყვანილი რამდენიმე ადგილი და ისიც საპასუხო, უნდა ჩაითვალოს „გამთიშველ პოლიტიკათ“ და „გამთიშველი პოლიტიკა“ არ დაერქმის იმას, რითაც სავსეა „ახალი სხივის“ ყველა ნომრები?

გეტყობათ, თქვენ გესაჭიროებათ კითხვის ასე დაყირავება, მარა პარტიას ეს არ ესაჭიროება და თქვენ ტყუილათ გგონიათ რომ „გამთიშველი პოლიტიკის“ ინიციატივას ჩვენ მოგვახვევთ თავზე!

„ახალი სხივი“ კვლავ გვეკითხება: „გვაძლევთ თუ არა კრიტიკის საშვალებას „ერთობა-ბორბის“ ფურცლებზე... სიტყვას ბანზე აგდებთ, მესამეჯერ ზედიზედ გისვამთ ამ კითხვას და დროა ან ჰო სთქვათ, ან არა“!

ჩვენ რამდენჯერმე განვაცხადეთ და კვლავ ვაცხადებთ: არ ყოფილა შემთხვევა, რომ „სხივლებისათვის“ „ერთობას“ უარი ეთქვა წერილის დაბეჭვდაზე. ეს იცის კარგათ „ახალმა სხივმა“, მარა ის რაღაც „გარანტიაზე“ ლაპარაკობს. ასეთი გარანტია შიგნით, პარტიაში, ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია. ამისათვის არსებობს საერთო წესი და შექმნა რაიმე განსაკუთრებული გარანტიისა თვითეული პიროვნებისათვის თუ ჯგუფისათვის—ეს რაღაც ისეთი ახალი რამ არის, რაც მხოლოდ „ახალი სხივის“ პარტიული შეგნებით თუ შეიძლება გავიგოთ.

„ერთობას“ ფურცლები ყველა პარტიის წევრებისათვის თანაბრათ ღიაა და „სხივლებისათვის“ და „ერთობას“ არც ერთი „სხივლისათვის“ უარი არ უთქვამს თანამშრომლობაზე და წერილების დაბეჭვდაზე მარტო იმიტომ რომ ის „სხივლია“...

ევროპის სოციალისტები საქართველოში მოგზაურობის შესახებ

ევროპის ჟურნალ-გაზეთობა, განურჩევლად მიმართულებისა, სავსეა აქებით ევროპის სოციალისტურ დელეგაციის საქართველოში მოგზაურობის შესახებ:

დელეგაციას ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებია თავისი მოხსენება ამ მოგზაურობის შესახებ, ვინაიდან მოხსენების დასამთავრებლად ელოდებიან იმ დამატებითი ცნობებს, რომელიც ამხ. დე-ბრიუკერმა უნდა ჩამოიტანოს. მიუხედავათ ამისა დელეგატებმა გაზეთების საშუალებით საკმაოდ მოჰფინეს მკითხველ საზოგადოებას ცნობები თავისი დაკვირვებიდან და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინეს.

ინგლისურ გაზეთ „ტომს“-ში დაიბეჭდა ინტერვიუ ქ-ნ სნოუდენთან. ქალბატონი სნოუდენი აღიარებს მის მიერ ნახულს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოში და აღნიშნავს იმ მშვენიერ შედეგებს, რომელსაც ქართველმა სოციალ დემოკრატებმა მიაღწიეს.

ლონდონის ყოველკვირეულ ჟურნალ „მატენ“-ში მოთავსებული იყო ვრცელი და ჩინებულათ დაწერილი სტატია რამზეი მაკდონალდისა: —„სოციალისტური სახელმწიფო კავკასიაში“. ავტორი აღნიშნავს ღრმა სიბრძნეს ქართული სოციალ-დემოკრატიისას, (განსაკუთრებით მიწის საკითხში) და ენერგიულად მოითხოვს ინგლისის მთავრობისა და ხალხისაგან საჭირო დახმარებას პატარა რესპუბლიკისადმი, სადაც ავტორის სიტყვით, ბუნებაც, ხალხიც და პოლიტიკაც ერთგვარად მომხიბვლელია.

ბრიუსელის გაზეთი „ლე სირა“-ში დაბეჭდილია ვრცელი საუბარი ამხ. ვანდერველდესთან. საქართველოს შესახებ ფაქტიურ ცნობების გამოცემისა და საქართველოსადმი წრფელი თანაგრძნობის გამოთქმის შემდეგ ამხ. ემილ ვანდერველდე აღნიშნავს შესაძლებლობასა და საჭიროებას საქართველოსა და ბელგიას შორის ეკონომიური კავშირის აღდგენისას. ემილ ვანდერველდე გამოსთქვამს აგრეთვე სრულს იმედს, რომ ახლო მომავალში ბელგია იცნობს სრულს იურიდიულ დამოუკიდებლობას საქართველოს რესპუბლიკისას.

განსაკუთრებით მრავალი ცნობები დელეგაციის საქართველოში მოგზაურობის შესახებ იბეჭდება ფრანგულ პრესაში.

ამხ. ა. ინგელსი „ლე კრი დუ ნორ“-ში ათავსებს მთელს რიგს ვრცელი წერილებისა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის შესახებ.

ამხ. მარკემ დაიწყო ბეჭდვა მთელი რიგი წერილებისა საქართველოს შესახებ. წერილი, რომლითაც დაიწყო ეს სერია, მოთავსებულ იქნა როგორც მოწინავე წერილი. ამ წერილში მოყვანილია სხვათა შორის ნოე ჟორდანიას სიტყვა, რომლითაც ეს უკანასკნელი მიესალმა დელეგაციას თფილისის სადგურზე. ამ სიტყვის შესახებ ამხ. მარკე ამბობს: „ნოე ჟორდანიას სიტყვებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ვინაიდან ამ რჩეულ ქვეყანაში, სადაც ჩვენ მოვედით აღმოსავლეთ ევროპისა და ოსმალეთის გავლის შემდეგ, ეს სიტყვა როგორც გულისთქმა მთელი ხალხისა, სავსებით ეთანხმება აზრსა და გულისთქმას დასავლეთ ევროპის სოციალისტებისას. დიდის თანაგრძნობით ათავსებენ ინგელსის და მარკეს შთაბეჭდილებებს საქართველოს შესახებ გაზეთები „ეკლერი“, „ჟოვერსალ“ „ფარ დე ლესუარ“.

„ტან“-ში მოთავსებულია ვრცელი კორესპონდენცია დელეგაციის საქართველოში მოგზაურობის შესახებ. კორესპონდენციაში გულწრფელი თანაგრძნობაა გამოთქმული საქართველოს რესპუბლიკისადმი.

ენერგიულ კომპანიას ეწევა საქართველოს სასარგებლოთ ამხ. რენოდელი. მისი რედაქტორობით გამოცემულ გაზეთ „ლა ვი სოსიალისტ“-ში რენოდელი სწერს იმ შემთხვევის შესახებ, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკა დაუხვდა თავის სტუმრებს: „არა სამხედრო პარადებით შეეგება დელეგაციას, არამედ საერთო სახალხო აღფრთოვანებით. დელეგაციის შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა მთელი ხალხი: მამაკაცები, ქალები, ბავშვები, რომელთა სახეზედ ამოიკითხავდით გულწრფელ სიხარულს და კმაყოფილებას“.

საქართველოს მდგომარეობის შესახებ იგივე გაზეთი სწერს: „რესპუბლიკის მდგომარეობა მძიმეა, ფულის კურსის დაცემა, ეკონომიური მდგომარეობის გართულება, რაიც გამოწვეულია ხანგრძლივი ომის გან, რომელიც საქართველომ ამ სამი თვის წინად გაათავა და რომელიც ხელახლა შეიძლება განახლდეს უკეთუ საქართველოს კვლავ დაესხმის ოსმალეთი, ან რუსეთი, რომელთა საფრთხე მუდმივ თვალწინ უდგას პატარა რესპუბლიკას, ყველა ეს კარგად აქვს შეგნებული რესპუბლიკის სათავეში მდგომსა და პასუხისმგებელ ამხანაგებს.

ისინი კარგათ გრძნობენ სიმძიმეს თავისი მოვალეობისას, მაგრამ ამაყობენ იმით, რომ მოვალეობათა აღსრულების დროს ისინი ეყრდნობიან მთელი ხალხის ნებას და თანაგრძნობას, რომ ის დახმარება, რომელსაც საქართველოს მუშები და გლეხები უწევენ თავის ხელმძღვანელობას, თავდებია მათი სრული გამარჯვებისა“.

ბოლშევიკებმა „დეილი ჰერალდ“, „ლ'უმანიტე“, „ჟურნალ დუ პეპლ“-ში სცადეს დელეგაციის მოგზაურობის სახელის გატეხა: მათ გაავრცელეს ხმა, თითქო ბათომში ხალხს ესტვინოს ევროპიელ სტუმრებისათვის. ამ ჭორს ხელი დასტაცა ბურჟუაზიულ გაზეთმა „ობშჩეე დელო“-მ. რენოდელმა თავის გაზეთ „ლა ვი სოსიალისტე“-ში ამ ჭორისა და ჭორიკანების შესახებ ცხარე წერილი მოათავსა ამ სათაურით: „თუ ვერ უარყოფთ... ცხადია სტყუით“.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სტუმრები ამ ბეჭდვითი პროპაგანდასთან ერთად ეწევიან ენერგიულ ბრძოლას საქართველოს სასარგებლოთ აგრეთვე ლექციებითა და სიტყვებითაც.

რამზეი მაკდონალდი ყველა თავის საჯარო სიტყვებში ინგლისელ მუშათა წინაშე ლაპარაკობს საქართველოს შესახებ, როგორც ისეთ ქვეყანაზე, სადაც გონივრულად და სასარგებლოთ გატარებულია ცხოვრებაში ჭეშმარიტი მეთოდი სოციალიზმისა.

საფრანგეთში საკითხი საქართველოს დახმარების შესახებ დასმულია როგორც პროლეტარიატის, სინდიკალისტების, აგრეთვე სოციალისტური წრეების წინაშე. ამ მხრივ ენერგიულ მუშაობას ეწევიან საქართველოს ბელგიელი მეგობრებიც, კერძოთ ამხ. ჰიუსმანი.

საერთაშორისო სოც. დელეგაციის სალამი საქართ. მთავრობას და ხალხს

(გარეშე საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან)

ევროპაში დაბრუნებისას საერთაშორისო სოციალისტთა დელეგაცია უძღვნის თავის ძმურ სალამს საქართველოს მთავრობასა და ხალხს.

სოციალისტურ იდეალით გამსჭვალულ ქალაქისა და სოფლის მშრომელ დემოკრატიასთან დაახლოვების შემდგომ, დელეგაციას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ცნობა არ იქნება აქტი მხოლოდ და მხოლოდ უბრალო სამართლიანობისა: ერთსა და იმავე დროს იგი შეიცავს მთელი ქვეყნის მშვიდობიანობის ერთ-ერთს უმნიშვნელოვანეს პირობასა და აგრეთვე საერთაშორისო სოციალიზმის საარსებო ინტერესს.

როგორც თფილისს ჩვენი მოსვლისას მტკიცედ განაცხადა თავმჯდომარე ჟორდანიამ, საქართველო ერთ-ერთი დიდი გზაა ევროპისა აზიისაკენ. ეს გზა ვერ დაეთმობა ვერც ერთს იმპერიალისტურ სახელმწიფოს, მისი დაცვა უნდა მიენდოს იმ თავისუფალ ხალხს, რომელმაც შესძლო თავისუფლების მოპოვება და რომელიც მოახერხებს აგრეთვე მის დაცვასაც.

მეორეს მხრით, მწვანილოვან კახეთში ჩვენი მოგზაურობის დროს, ღრმა განცდით ვიხილეთ ინტერნაციონალის მისასალმებლად შეკრებილი, უთვალავი გლეხი და მუშა, რომელსაც სოციალიზმი ვერ წარმოუდგენია უდემოკრატიოდ, ისე როგორც დემოკრატია უსოციალიზმოდ.

ყოველგვარ მოძალადეთა წინააღმდეგ თავდადებით მებრძოლთ, მაშინაც კი, როცა ეს მოძალადენი რევოლიუციონურ ნიღაბს ატარებენ, ქართველმა მუშებმა და გლეხებმა, თვისი განმათავისუფლებელი ძალუმით, ცდით, შესძლეს ინტერნაციონალის ავანგარდში ჩადგომა.

თავის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მათ იმედი უნდა ჰქონდეთ ყველა ქვეყნის სოციალისტურ პროლეტარიატის სოლიდარობისა.

ხელს აწერენ: ტომ შოუ, რამზეი მაკდონალდი, ვანდერველდე, კამილ ჰიუსმანსი, პიერ რენოდელი, ეთელ სნოუდენი, ლუი დე-ბრიუკერ, მარკე, ა. ინგელს.

პ რ ე ს ა

ერევნის გაზ. „ჟოღოვურდ“ (№ 177) (სომეხთა „სახალხო პარტიის ორგანო) მოწინავე წერილში სწერს:

„სომხეთი ნახევარი წელიწადია რაც გმირულად იცავს თავს ბოლშევიკურ რუსეთის და ქემალისტურ ოსმალეთის მუხანათურ თავდასხმისაგან. სომეხი მხედარი ერთი თვეა, რაც მამაცად დგას თურქულ და ქურთულ ბანდების წინ და დიდი მამულიშვილობით იბრძვის თავის სამშობლოს და ხალხის თავისუფლებისთვის.

„მართალია, ჩვენი იმედი ემყარება საკუთარ ძალებზე, მაგრამ ეს არ გვიშლის ხელს, რომ იარაღთან ერთად სომხეთის მთავრობამ მიმართოს აგრეთვე დიპლომატიურ საშვალებებს და ეცადოს მეგობრები და დამხმარე ძალები იპოვნოს გარეშე ქვეყნებში.

„პირველ რიცხვში უნდა დავამყაროთ საქართველოსთან. ამის საჭიროებას არა მარტო ჩვენ ვგრძნობთ დიდი ხანია, არამედ—თვით ქართველებმაც შეუგნიათ ეს. ქართული პრესის ყველა მიმდინარეობანი, ეხლა დაჟინებით მიუთითებენ ორი მეზობელ სახელმწიფოთა—საქართველოს და სომხეთის დაკავშირების საჭიროებაზე.

„ქართველ ეროვნულ დემოკრატების ორგანო „საქართველოს“ დაუწყია ლაპარაკი მოულოდნელი ენით; იგი ფიქრობს, რომ „შეუძლებელია დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა, უკეთუ ოსმალეთის ან რუსეთის ხელით დაიღუპება სომხეთი“, ამიტომაც მოითხოვს, რომ „დაუყოვნებლივ სამხედრო კავშირი დაარსდეს სომხეთთან, რომ დაუყოვნებლივ საქმის სათავეში ჩადგეს შეერთებული შტაბი“.

„პირველი დიდი ნაბიჯი გადადგმულია, საჭირო იყო ერთმანეთის გაგება, რაც ეხლა უკვე ხდება. სომეხ ხალხს დიდი ყურადღებით უდევნებია თვალყური ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლისთვის ეროვნულ დამოუკიდებლობის დასაცავად და შეუგნია, რომ საქართველოს გამარჯვებაცაა.

„დღეს ქართველ ხალხს ესმის, რომ სომეხი მხედარი, რომელიც სისხლსა ღვრის სარიყამიშის და სურმალოს ფრონტზე, იცავს არა მარტო სომხეთს, არამედ დამოუკიდებელ საქართველოს არსებობას.

„სომეხი ხალხი მუდამ ისწრაფოდა საქართველოსთან დაახლოვებას, და როცა სომხეთის დღევანდელ მძიმე დღეებში ჩვენი ეგ მხურვალე სურვილი ჰპოულობს გამოძახილს მოძმე ქართველ ხალხის გულში, სომხეთის მთავრობას რჩება დაეჩქაროს ადრე განახორციელოს ეს კავშირი.

თუ ორ მთავრობებს ზოგჯერ დაუვიწყნიათ ეგ, სამაგიეროთ ხალხებს უგრძვნიათ, რომ სომხეთს და საქართველოს თუ უწერიათ სიცოცხლე, უნდა იცოცხლონ ერთად.

„დამდგარია ჟამი, როცა ორი მოძმე ერის ინტერესების სწორი გაგება აიძულებს მათ შეერთდენ, ერთმანეთს გაუწოდონ ხელი.

„დაბნელებული შეგნება ნათლდება, იღვიძებს, ინგრევა ორ ერის შუა აღმართული კედელი.

„წარმოშობით, რელიგიით, კულტურით მეზობელი, ერთ ბედს ქვეშ მყოფი სომეხი და ქართველი ერები, რომელთაც ესმით გარეშე ხიფათის სიდიდე, უნდა დაუყოვნებლივ შეჰკრან კავშირი და შეერთებული ძალით დაიწყონ მოქმედება თავიანთი საუკეთესო მომავლისათვის.

„ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სომხეთის და საქართველოს შეერთებით და კავშირით ისარგებლებს სომხეთი კავკასია და ახლო აღმოსავლეთი, რომ ეგ შეერთება ხელს შეუწყობს როგორც სევრის ხელშეკრულობის განხორციელებას, ისე საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულათ აღიარებას.

„მანამ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელნი იმყოფებიან ერევანში, უნდა ვისარგებლოთ გარემოებით და გადავდგათ ეგ ნაბიჯი“.

მობილიზაციის გარშემო

გენერალური შტაბის უფროსისაგან.

№ 4438, 12 ნოემბერი, 1920 წ.

შესაცვლელათ და დამატებათ ამა წლის 11 ნოემბრიდან № 4393 მობ. ტელეფონოგრამის მეორე და მესამე მუხლებისა, მთავრობის თავმჯდომარემ ბრძანა:

დღეს

ბოლშევიკები იუწყებიან, რომ მოკავშირე სახელმწიფოებმა იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა ფორმალურად.

14 ნოემბერს რუსეთ აზერბეიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს სავაჭრო სატრანზიტო შეთანხმებას.

ქემალისტები სომხეთზე შეტევას განაგრძობენ. სომხებმა დასტოვეს სადგ. აგონი და ქ. იგდირი.

ყირიმის ფრონტზე ბოლშევიკები ავიწროვებენ ვრანგელის ჯარებს.

---

1) სამხედრო ერთეულებ-დაწესებულებებში და აგრეთვე სახალხო გვარდიაში მყოფნი სამობილიზაციო წლებში დაბადებულნი ნებით დაქირავებულნი მოსამსახურენი დაუყონებლივ გადაირიცხონ ნამდვილ სამსახურში, თანახმად მოლაშქრეთა სათადარიგო ჯარის-კაცთა გასაწვევ დასტურლამის 15 მუხლისა თავიანთ თანამდებობაზე დატოვებით. გვარდიის და ჯარის ერთეულებისა და დაწესებულებათა უფროსებმა ეხლავე წარმოადგინონ სია ამ ნებით დაქირავებულთა, რომელნიც აუცილებლად უნდა დარჩენ თავიანთ თანამდებობაზე. ამ სიების გასასინჯავათ შესდგეს კომისია გენერალური შტაბის ნაწილთან გვარდიისა და ამ ნაწილის თითო წარმომადგენელთა შემადგენლობით.

2) 20 ნოემბრამდის გამოცხადების ვადა მიეცეს აგრეთვე თემების გამგეობათა თავმჯდომარეებს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნოემბრის 15.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 14/11. წითელმა ცხენოსანმა ჯარმა ყირიმში სადგური ჯანკოი აიღო. ვრანგელის თავზარდაცემული ბანდები უკან იხევენ. დაღუპვის წინ ვრანგელმა ყირიმში საალყო წესები გამოაცხადა. ამ დროს ჩვენმა გმირმა ნაწილებმა პერეკოპის და სივაშის მიმართულებით ყველა გამაგრებული ხაზები გაარღვია. მტრის ზურგში ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა სადგური ჯანკოია აიღო. ჯანკოიდან ორი გზა იხსნება. ერთი სევასტოპოლზე მეორე კერჩზე. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მოპირდაპირე, რომელიც ჩვენი მძლავრი დივიზიების შეტევის გამო უწესრიგოთ გარბის უკან ველარ შესძლებს გაგვიწიოს ჩვენ ყირიმში დიდი წინააღმდეგობა. წითელმა ჯარებმა ვრანგელს წაართვა: ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები, ყუმბარები და სხვა სამხედრო ნადავლი. ჩვენ ჯარს შეუძლია მადლობა გადაუხადოს ამისათვის ბურჟუაზიას, რომელიც ამ იარაღს ვრანგელს აწვდიდა.

მოლაპარაკება პოლონეთთან.

12 ნოემბერი. რიგაში შეხვდნენ ერთმანეთს რუსეთ-უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარე იოფფე და პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე ვასილევსკი. იოფფემ აღნიშნა პოლონეთის მთავრობის მიერ დარღვეული ხელშეკრულების პირობები. იმას გამო, რომ რიგაში პოლონეთის სამხედრო და სხვა სპეციალისტები არ იმყოფებოდენ უკვე ორი თვეა, რაც საზავო მოლაპარაკება არ გრძელდება. ამასთანავე დროებითი ზავის შემდეგ ფრონტის ხაზზე პოლონეთის ტერიტორიიდან გადმოვიდა პეტლიურას და ბალახოვიჩის ჯარი. იოფფე სთხოვს პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილეს აუწყოს პოლონეთის მთავრობას, რომ მიღებულ ვალდებულებების აუსრულებლობა ნიშნავს ხელშეკრულების დარღვევას. პოლონეთის ტერიტორიაზე შემდგარი თეთრგვარდიელთა რაზმების შემოტევა აიძულებს საბჭოთა რუსეთის მთავრობას მიიღოს მათ წინააღმდეგ სათანადო სამხედრო ზომები, რომელმაც შეიძლება პოლონეთის ჯართან შეტაკება გამოიწვიოს. ვასილევსკიმ განაცხადა, რომ ნოემბრის 13, რიგაში მოვლენ პოლონეთის საზავო დელეგაციის სპეციალისტი დელეგატები და ის დაუყონებლივ აუწყებს მათ საბჭოთა დელეგაციის განცხადებასო.

კომუნისტური პარტიის ყრილობა ბერლინში.

ნოემბრის 2. ბერლინში გერმანიის კომუნისტური ყრილობა გაიხსნა. ყრილობაზე არიან მემარცხენე დამოუკიდებელ სოც.-დემ. წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები. ყრილობა გახსნა პიკმა, რომელმაც მოუწოდა დელეგატებს განაცხადონ პროტესტი ზინოვიევის გერმანიიდან გაძევების გამო. ყრილობაზე მიიღეს დადგენილება გერმანიის მუშა-ქალთა ორგანიზაციის შესახებ. ხელმძღვანელათ კლარა ცეტკინა აირჩიეს. ყრილობაზე ვრანგელის ჯარის სრულიად განადგურების შესახებ ცნობის მიღების გამო დელეგატებმა დაადგინეს: გაუგზავნონ მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა მთავრობას დაპირებით, რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარებენ შექმნან გერმანიის ძლიერი წითელი ჯარი, რომელიც რუსეთის წითელებთან ერთად შემუსრავს დასავლეთის ბურჟუაზიას. ყრილობა დეკემბერში განაგრძობს მუშაობას. კომუნისტურმა პარტიამ მოწოდებით მიმართა მუშებს იბრძოლონ საერთო გაფიცვებისთვის. გერმანიის მთავრობა იხილავს საკითხს სამხედრო დიქტატურის გამოცხადების შესახებ.

ევროპის პრესა ბოლშევიკების საგარეო პოლიტიკის შესახებ.

მოსკოვი 15/11. უცხოელი პრესა ბოლშევიკების საგარეო პოლიტიკას, კერძოთ კავკასიის პოლიტიკას იხილავს. ოსმალთა ნაციონალისტების გამარჯვება, ყარსის და გუმრის ხელში ჩაგდება და ბათომზე დამუქრება კავკასიის სრულიად ჩამოაცილებს ევროპას. აუცილებელია ჩაშლა ანგორისა და მოსკოვის კავშირისა, რისთვისაც საჭიროა ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების გადახილვა.

საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე.

საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე რუსეთის კოოპერატორმა ბირკენჰეიმმა განაცხადა, რომ ევროპის ეკონომიურად აღორძინება შეუძლებელია რუსეთის ეკონომიურად აღორძინების გარეშე.

დემონსტრაცია.

სამხრეთ აფრიკაში ქალ. პორელიზაბეტში მოხდა დემონსტრაცია ადგილობრივ მუშათა კავშირის თავმჯდომარის დაპატიმრების გამო. დემონსტრაციის დროს მოკლეს 22 კაცი დასჭრეს 41. მუშათა დემონსტრაციები გრძელდება.

საალყო წესები ყირიმში.

ნოემბრის 9 ვრანგელმა ყირიმში საალყო წესები გამოაცხადა.

კერენსკი ვარშავაში.

კერენსკიმ გადასწყვიტა მოაწყოს ვარშავაში სამხედრო შტაბი და ბინა. ის პარიზის გაზეთებში მოუწოდებს დენიკინის და იუდენიჩის ოფიცრებს, ვარშავაში მოიყარონ თავი. კერენსკიმ განაცხადა, რომ დადგა დრო, როდესაც მან ბოლშევიკების წინააღმდეგ ჯვაროსნულ გალაშქრებას უნდა უხელმძღვანელოს. —მოსკოვი. 15/11.

სამხედრო ცნობები.

მოზირის რაიონში ჩვენმა ჯარმა დაიკავა სადგური და დაბა კალინკოვიჩი. წამოვიყვანეთ ტყვეები. პროსკუროვის და ნოვო-უშიცის მიმართულებით პეტლიურას მე-3 დივიზია დავამარცხეთ და ბერეჟინის სამხრეთ-აღმოსავლეთით 25 ვერსის მანძილზე და უშიცის აღმოსავლეთით 15 ვერს. მანძილზე ადგილები დავიკავეთ. შეტევა გრძელდება. ჯანკოის რაიონში ჩვენ მტრის ჯავშნიანი მატარებელი 5 ზარბაზნით და 20 ტყვიის მფრქვეველებით ხელთ ჩავიგდეთ აგრეთვე 5 მძიმე ზარბაზანი.

მოკავშირეებმა იცნეს საქართველო.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი გაემგზავრა ევროპაში იმ მიზნით, რომ მიეღწია მოკავშირეთა მხრივ საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალურ ცნობისათვის. გეგეჭკორის ცდა გამარჯვებით დასრულდა. მოკავშირეებმა იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

ფრიდრიხ ენგელსი.

„სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმ. კომ. უწყებების“ წერილში, „ფრიდრიხ ენგელსი“-ს სათაურით, სწერია: „ნოემბრის 23 შესრულდება 100 წელი პროლეტარიატის იდეოლოგიის მებაირაღტრის ფრიდრიხ ენგელსის დაბადების დღიდან. ფრიდრიხ ენგელსი იყო არა მარტო მეგობარი კარლ მარქსისა, მთელი მათი მოქმედება და მოღვაწეობა ისე არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რომ ძნელი გამოსაცნობია, რომელი ქვა არის ჩადებული მეცნიერულ რევოლიუციონურ სოციალიზმის შენობაში კარლ მარქსის მიერ და რომელი ფრიდრიხ ენგელსის მიერ. მთელი მათი მოქმედება ერთად მიმდინარეობდა. მაგალითად კომუნისტური მანიფესტი ორივემ ერთად დაწერა. მხოლოდ იმიტომ, რომ აზროვნების ორი გოლიათი ერთად მოღვაწეობდა, ერთმა სახემ დაჩრდილა. ამიტომ თვით მეცნიერებს მარქსიზმს უწოდებენ. მაგრამ ენგელსის მოღვაწეობა და მისი დამსახურება მსოფლიო ისტორიის წინაშე ისევე დიდია, როგორც მარქსისა. ჩვენი მიზანია ვიზრუნოთ ამაზე. 100 წლის თავზე ჩვენ ხელთ უქმნელი ძეგლი უნდა აუგოთ მას. თუ როგორ უნდა აღინიშნოს ეს დღე, ამას შეიმუშავებს პარტიული საგანგებო კომისიები, ცხადია ერთი რამ, ენგელსის დაბადების ასი წლის თავზე, რაც შეიძლება მეტი უნდა დაიწეროს მის შესახებ და რაც შეიძლება მეტი სურათები უნდა გავავრცელოთ ხალხში. ამ დღემდის ორი დარჩენილი კვირა ძლიერ პატარა დროა, მაგრამ ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომა, რომ ენგელსის სახელი მასის შეგნებაში მეტად გაიზარდოს.

მოლაპარაკება ჩინეთთან.

მოსკოვი. 14 ნოემბერი. საგარეო კომისარმა ჩიჩერინმა ჩინეთის მთავრობას გაუგზავნა განცხადება, რომელშიაც სწერს, რომ საბოლოო დამარცხების შემდეგ, რომელიც სემიონოვის ავაზაკთა ბრბოებმა იგემეს, თეთრ გვარდიელთა ზოგიერთ რაზმებმა დაიწყეს დახევა ჩინეთის საზღვრებისაკენ და გადავიდენ მანჯურიაში, სადაც ისინი შეუერთდნენ ადგილობრივ ასეთ ელემენტებს, რომლებიც ჩინეთის ჯარებს არ შეუძლიათ თავისი ძალით მოსპონ თეთრგვარდიელთა ბრბოები, ამიტომ მათ სთხოვენ მიმართეს ჩვენ სამხედრო სარდლობას აღმოუჩინოს მათთვის დახმარება ამ ავაზაკებთან ბრძოლაში. საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ საერთო ინტერესები ამ ბანდების საწრაფო მოსპობას მოითხოვს და ამიტომ იგი მზად არის გაუწიოს დახმარება ჩინეთის ჯარებს. საბჭოთა მთავრობა ირწმუნება, რომ მისი ჯარები, რომლებიც მანჯურიაში შევლიან, როგორც ჩინეთის მეგობრები და თავისი მიზნის შესრულების შემდეგ დაუყონებლივ დატოვებენ ჩინეთის ტერიტორიას.

საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან.

ლონდონი. 10 ნოემბ. პოლონეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ დებსკიმ განაცხადა, რომ საზავო მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან ორი თვე გრძელდებაო. საბოლოო ზავის პირობები წინასწარ ზავის პირობებისგან ბევრათ არ განსხვავდება.

საფრანგეთი მემაღაროეთა გაფიცვების წინ.

— საფრანგეთის მაღაროების პატრონებმა მემაღაროებთან მოლაპარაკებაზე უარი განაცხადეს იმედი კონფლიქტის მშვიდობიანათ დასრულებისა არაა, და კვირისათვის გაფიცვას დაწყებას მოელიან.

მოძრაობა იტალიაში.

ქრისტიანია. 11 ნოემბ. გლეხების მოძრაობა სიცილიაში მეტად გამწვავდა. გლეხებსა და პოლიციელებს შორის შეტაკებანი ხდება.

საფრანგეთის პრესა ვრანგელის შესახებ.

საფრანგეთის ბურჟუაზია და პრესა ვრანგელის მდგომარეობას უიმედოთ სთვლის და მოითხოვს, რომ მთავრობამ აღარ გაუწიოს მას დახმარება, წითელი ჯარების გამარჯვება არწმუნებს საფრანგეთის პრესას, რომ საბჭოთა ძალაუფლების ჩამოგდება რუსეთში შეიარაღებულ ძალით შეუძლებელია.

ლიონის ცნობები

იტალია და სამხრეთ სლავია.

ნოემბრის 12 იტალისა და სამხრეთსლავიის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. ამ მიზნისთვის რომიდან ჯიოლიტი მოვიდა. სფორცამ განაცხადა, რომ ხელშეკრულებით იტალია კმაყოფილია. თავის მოთხოვნილებების ზომიერებით მან დაამტკიცა მეზობელ სახელმწიფოებთან მეზობლური განწყობილებისაკენ ლტოლვა, ვესნიჩმა და მისმა ამხანაგებმა გამოსთქვეს კმაყოფილება.

ვრანგელი და ბოლშევიკები.

გენ. ვრანგელის ჯარის უკან დახევა. ბოლშევიკურმა ჯარებმა გაარღვიეს ვრანგელის ჯარის ფრონტი და ყირიმში სერიოზული მდგომარეობა შექმნეს. მიღებულია ზომები დაიცვან ბოლშევიკურ რეპრესიებიდან საფრანგეთის მოქალაქენი და სახ. რუსეთის მთავრობის წევრები.

ხმების უარყოფა.

უკრაინის დელეგაცია უარყოფს ხმებს, თითქოს პეტლიურა გენ. პავლენკოს დაეპატიმრებიოს, ეს ტენდენციური ცნობაა გერმანული პრესისა.

ელინთა მისიის ცნობები

ჯარის დემობილიზაციის შესახებ.

საბერძნეთის ჯარის დემობილიზაციის შესახებ აღძრული კითხვა ჯერაც გადაუწყვეტელია. საგ. საქმეთა სამინისტრომ ამცნო სამხედრო სამინისტროს, რომ ამ ცოტა ხანში გამოირკვევა ის მიზეზი, თუ რათ არის საჭირო ძლიერი შეიარაღებული ჯარის ყოლა.

ოსმალეთის გარშემო.

გაზეთი „ელენგარტი“ აღნიშნავს: ანატოლიის მოძრაობამ ოსმალეთს უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე 1915—1918 წ. ომმა. საჭიროა სახელმწიფოს გაერთიანება. ახალი კაბინეტის სიმტკიცეზე არის დამოკიდებული მორიგ ამოცანის ასრულება—სახელმწიფოს გაერთიანების საქმეში. გაზეთი „სერფესტი“ სწერს: საკითხი იმაში არის შეუძლია თუ არა მთავრობას ძირს ჩამოაგდოს ქემალის მთავრობა. მთავრობა თანახმაა, რომ შეურიგდეს ქემალის მიმდევრებს. ჩვენის აზრით ქემალისტების მოძრაობა არის წმინდა ყაჩაღური მოძრაობა და მისი მოსპობის საკითხი საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დამყარების საკითხიაო. გაზეთი „საბახი“ სწერს: „სტამბოლსა და ანგორის შორის უფსკრულია.

ქემალისტების მოთხოვნა.

ქემალისტები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ოსმალეთმა უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე და სამხედრო მოქმედება განაახლოს ანტანტასთან, ან და უკიდურეს შემთხვევაში განაახლოს დასავლეთით ბრძოლა საბერძნეთთან და აღმოსავლეთში სომხებთან.

საბერძნეთი და ქემალი.

ცნობები საბერძნეთის ჯარსა და ქემალისტების შორის დროებითი ზავის დადების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. მთავარი შტაბი იუწყება, რომ ბერძნებს დაუტოვებიათ ელის შეხირი და ინენელი. ბრძოლა გრძელდება. ოსმალეთს დიდი ზარალი მოუვიდა. უშაკის რაიონში საბერძნეთის ჯარის მოქმედება წარმატებით ვითარდება.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

გაფიცვის შედეგი.

ლონდონი. გაზეთი „ვიკლი-დისპეჩი“ აქვეყნებს ცნობებს, თუ რა დაუჯდა ინგლისს მემაღაროეთა გაფიცვა. ინგლისის ხალხმა დაკარგა: 4 500.000 ტონი ქვანახშირი. მემაღაროელებმა დაჰკარგეს 5.400.000 გირვანქა სტერლინგი. 220.000 მუშა კი უმუშევრად დარჩა.

ინგლისის საშინაო პოლიტიკის შესახებ.

ლონდონი. „ტაიმსი“ სწერს: ლორდ კერზონმა „შუააზიის საზოგადოებაში“ წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ფაქტს ანგარიში გაუწიოთო, ფაქტი კი ასეთია: დიდი ბრიტანეთის გავლენის გაზრდამ შუააზიაში თავის საზღვრებს მიაღწია. „ტაიმსი“ ამბობს, რომ ინგლისის საზოგადოება ამ ფაქტს უწევს ანგარიშს, მაგრამ მას აქვს უფლება იკითხოს: არის თუ არა ეს შედეგი მთავრობის მოქმედებისა და ძალეც' თუ არა თავის თავს ანგარიშს ლორდ კერზონი თავის სიტყვების მნიშვნელობაში? ლორდ კერზონმა განაცხადა, რომ მთელ წინა და შუა აზიაში ღვივის ბრიტანეთის წინააღმდეგ მიმართული აგიტაცია. ინგლისს უხდება გაფანტოს თავისი გარნიზონი აზიაში. მიზან შეწონილია ეს ინგლისისათვის? კითხულობს გაზეთი. აშკარაა უნდა დავასრულოთ ინგლისის ფლანგა აზიაში, ვინაიდან ინგლისის დროშამ აზიაში მოიტანა არა მშვიდობიანობა, არამედ მახვილი. საჭიროა ინგლისის არმიის ინდოეთის საზღვრებთან შეჯგუფება, წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისის პრესტიჟს საქართველოში საფრთხე მოელის. პოლიტიკაში არ უნდა იყოს დაუსრულებლობა: ან უნდა მოვახდინოთ ინდოეთის სრული ოკუპაცია, ან სრულიად უნდა მივატოვოთ იგი. ასეთი აზრით უნდა ვიხელმძღვანელოთ აგრეთვე მესოპოტამიაში. გარკვევით უნდა ითქვას, რომ ინგლისი უარს აცხადებს აზიაში თავის გავლენის შემდეგ გაფართოვებაზე.

მაქსიმ გორკის პროტესტი.

ლონდონი. ინგლისის პრესა იუწყება: მაქსიმ გორკიმ რუს მეცნიერთა და მათ შორის გრიმის, ოსიპოვის, ბუშის და სხვათა დატუსაღების გამო ლენინს პროტესტი განუცხადა. გორკი აღნიშნავს, რომ რევოლუცია ვალდებულია სცეს პატივი მეცნიერებს, განსაკუთრებით იმ ქვეყანაში, სადაც ახალგაზრდობა 17 წლიდან მთელ თავის ძალ-ღონეს სამოქალაქო ომს სწირავს.

შეუძლებელია ვიქონიოთ იმედი გამარჯვებისა—ამბობს გორკი, თუ ცივილიზაციის ყვავილი დამჭკნარი იქნა. რეპრესიების და დატუსაღების მეთოდი არის პოლიტიკურ ჩამორჩენილობის, და მოღალატობის ნიშანი. გორკი აღნიშნავს რომ მეცნიერება უმეტესად სრულიად ნეიტრალურ პოზიციას წარმოადგენს. ეს ის ხალხია, რომელსაც არ აინტერესებს პოლიტიკა. ესენი უმეტესად სუსტნი და მოხუცებულნი არიან. ციხეებში ისინი დაიღუპებიან. გორკი თავის განცხადებას შემდეგნაირად ასრულებს: „ვლადიმირ ულიანოვ, მე ვუერთდები მეცნიერთა ბანაკს, რუსეთის საუკეთესო ძალების სიკვდილის მდუმარე მაყურებლის როლს ციხეს ვარჩობინებ. წითლებიც და თეთრებიც ხალხის მტერია.

აჯანყება.

ლონდონი. „ტაიმსი“ იუწყება: კორეიაში ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა.

პროტესტი.

ბრიუსელი. ბელგიის მუშათა კონგრესი პროტესტს აცხადებს ბოლშევიკების პოლიტიკის წინააღმდეგ. 430 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 76 ხმისა კონგრესმა მეორე ინტერნაციონალთან შეერთება დაადგინა.

სავაჭრო-სატრანზიტო შეთანხმება

რუსეთ-აზერბეიჯანისა და საქართველოს შორის.

(საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან).

განსავითარებლად და დასამტკიცებლად რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის მაისის 7 დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულობისა და აზერბეიჯანისა და საქართველოს შორის ამავე წლის ივნისის 12 ხელმოწერილ საზავო ხელშეკრულობისა ნოემბრის 14 თფილისში მოხდა სავაჭრო-სატრანზიტო შეთანხმება ერთის მხრით რუსეთის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკისა და აზერბეიჯანის სოც. საბჭოთა რესპუბლიკისა და მეორე მხრით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შორის, რომელსაც ხელი მოაწერეს: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კ. ბ. საბახტარაშვილმა, რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საქართველოში ა. ლ. შეინმანმა და აზერბეიჯანის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მირზა დაუდ ჰუსეინოვმა.

საერთოდ შეთანხმება შემდეგში მდგომარეობს: საქართველო, რუსეთი და აზერბეიჯანი საურთიერთოდ თავისუფალ ტრანზიტის უფლებას ანიჭებენ ერთმანეთს.

რუსეთი და აზერბეიჯანი ვალდებულნი არიან აძლიონ საქართველოს ნავთის პროდუქტები პირველ თვეში დღიდან საქართველოს რკინის გზის პირველ სამარშრუტო მატარებლის ბაქოში მოსვლისა 750 ათასი ფუთი, და შემდგომ, მეორე თვიდან დაწყებული, თითო მილიონი ფუთი ყოველ თვე.

მთელი ეს ნავთის პროდუქტები რუსეთისა და აზერბეიჯანის მიერ განთავისუფლებულია ყოველ ბეგარა და გადასახადისაგან და ეძლევა საქართველოს შემდეგ ფასებში: ფრანკო-ბაქო ცისტერნა: რკინის გზის საჭიროებისათვის გაუწმენდავი ნავთი და მაზუთი 25 მანეთად ფუთი, გაწმენდილი ნავთი 50 მანეთად, ბენზინი 70-დან 460 მანეთამდე. სახელმწიფო დაწესებულებათა, მცხოვრებთა და მრეწველობის საჭირო ბაზათათვის ფასები გადიდებულია ორჯერ.

თავის მხრით საქართველო ნებას რთავს უბაჟოდ და სხვა სახელმწიფო გადასახადთა გადაუხდელათ გატანილ იქნას ქარხანა „შრომის“ ძლიერი ცეცხლ-გამძლე აგური და ცეცხლ-გამძლე თიხა არა უმეტეს ოცი ათასი ცალი აგურისა და ხუთი ათასი ფუთი თიხისა თვეში, საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის მიერ დაწესებულ ფასებში და რუსეთსა აზერბეიჯანის რკინის გზებისთვის საჭირო ქვა-ნახშირი, სატყეო და სხვა მასალები შერეულ კომისიის მიერ განსაზღვრულ რაოდენობით.

გარდა ამისა საქართველო ნებას რთავს გატანილ იქნას სხვადასხვა საქონელი და სანოვაგე, გარდა ყოველგვარი ხორბლეულობისა და შაქრისა, რომლის საჭირო ჯამი არ უნდა აღემატებოდეს საქართველოში შემოტანილ ნავთის პროდუქტის მთელ ღირებულებას.

საქართველო ვალად იდებს არ იქნას გატანილი მისი საზღვრებიდან რუსეთსა და აზერბეიჯანიდან მიღებული ნავთის პროდუქტები.

მინისტრი კ. კანდელაკი რომში

რომი. იტალიის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფინანსთა, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კანდელაკის რომში ჩამოსვლის აღსანიშნავად საზეიმო სადილი გაიმართა. სადილს დაესწრენ იტალიის ვაჭრობა მრეწველობის გამოჩენილი წარმომადგენლები: სენატორი მარკონი, პელიანი, ბონდი, იტალიის საგარეო სამინისტროს წარმომადგენელი გლიანი, იტალიაში მყოფი საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელი ჯაყელი, აფხაზი, ზურაბოვი და სხვა. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და გამოსთქვა რწმენა, რომ მომავალში იტალიასა და საქართველოს შორის მეგობრული განწყობილება უფრო განმტკიცდება. (ს. დ. ს.)

ბოლშევიკები და ქემალისტები.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა საბჭოთა მთავრობის სახელით, გამოუგზავნა ქემალ ფაშას რადიო, რომელშიაც წინადადებას აძლევდა მას შეეჩერებინა სომხეთის ტერიტორიაზე შემდეგი შეტევა. ბოლშევიკების პოლიტიკის ამგვარი შეცვლა აიხსნება იმ აზრებით, რომლებიც არის აზერბეიჯანში აზერბეიჯანის საბჭოთა მთავრობისადმი ლოიალობის საკითხის შესახებ.

საბჭოთა ბაქოს ხელმძღვანელ წრეებში არსებობს განსაზღვრული აზრი, რომ ოსმალთა ჯარების აზერბეიჯანის ფარგლებში შესვლამ შეიძლება გამოიწვიოს მუსულმან მცხოვრებთა შორის ბოლშევიკების წინააღმდეგ მოძრაობა და საბჭოთა მთავრობის მოკავშირეთა სახით შემოსულმა ქემალისტებმა შეიძლება ითამაშონ მომწყობი ცენტრის როლი ყოველ ბოლშევიკების რეჟიმით, უკმაყოფილო ელემენტებისათვის. ბაქოში არავინ არა ჰფიქრობს, რომ ოსმალოები ეხლა დაუპირებენ ბოლშევიკების პოლიტიკას აზერბეიჯანში და მუსულმანები სრულიად გულახდილათ უძახიან ქემალისტებს თავის განმათავისუფლებელს. „ვ. ზ.“

ბაქოში.

უკანასკნელ დღეებში ბაქოში ადგილი ჰქონდა მრავალ მუსულმან საზოგადო მოღვაწეთა სხვადასხვა პარტიების წევრების დატუსაღებას. დატუსაღებულთა შორის არის ყოფილი მინისტრები მუსავატელთა მთავრობის, სოციალისტები სეფიკურდსკი და მელიქასლანოვი, იტტიხადები ექიმები ყაზიბეგოვი, ლემბერანსკი და სხვები. სეფიკურდსკი რამოდენიმე მუსულმან-კომუნისტის შუამდგომლობის წყალობით განთავისუფლებულია. ყველა დასახელებულ პირთა დატუსაღება გამოიწვია ხმებმა, რომ აზერბეიჯანელთა შორის მოსალოდნელია აჯანყებები ოსმალთა ჯარების შემოსვლის შემდეგო.

საინტერესოა აღინიშნოს, ყარაბეგოვის დატუსაღება, რომელიც მოხდა იმის გამო, რომ ის შეეცადა ენახა ენვერ-ფაშა ბოლშევიკების მიერ დაწესებულ ცერემონიალის გარეშე. ამ დატუსაღებებმა ყველა აზერბეიჯანელებზე, განსაკუთრებით პარტიისა, მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა. „ვ. ზ.“

საბჭოთა რუსეთში

რა საქონლის გატანა შეუძლია საბჭოთა რუსეთს? მოსკოვის „პრავდა“-ში მოყვანილია რაოდენობა იმ საქონლისა, რის გატანაც საბჭოთა რუსეთს შეუძლია საზღვარ გარეთ. აი ეს ციფრები: ცხენის ძუა—7,552 ფუთი, წლები—14 მილ. მეტრი, ტყავი (დაუმზადებელი)—228 ცალი, დაუმუშავებელი რკინა—1.350.000 ფუთი, დაუმუშავებელი მარგანეცი—525 000 ფ., მარილი 1.336.000 ფ, ჯაგარი—18.970 ფ., ცხენის ტყავი—207,992 ცალი, ცხვრის ტყავი—16,241 ცალი, რქა—15.405 ფ, თამბაქო 983,000 ფ., ხარის კუდები—22.000 ცალი, მატყლი 135.000 ფ., კურდღლის ტყავი—383.000 ცალი. აი ყველა ის საქონელი, რის მიცემაც შეუძლია კრასინს ლოიდ ჯორჯისათვის, რომელსაც სთხოვს გამოგზავნოს რუსეთში ინგლისური საქონელი. მაგრამ საკითხია ისიც, შესაძლებელი იქნება, თუ არა ამ საქონლის გატანაც კი: გაზეთში არ არის აღნიშნული, თუ სად ინახება დასახელებული საქონელი. (პარიზის „ობშჩეე დელო“).

მარილის რაოდენობა. გაზ. „ეკონომიჩეს. ჟიზნ“. წერილს უძღვნის მარილის წარმოების საქმეს და აღნიშნავს, რომ თუ უწინ მარილის სიმცირეში უმთავრესად ტრანსპორტის ნაკლებობას ედებოდა ბრალი,—ამჟამად ნაკლებობა იმით აიხსნება, რომ ცოტა მზადდება მარილი. პერმისა და ბასკუნჩაკის მარილი საკმაო იქნება სულ 2—4 თვეს 1921 წლის მაისისათვის მოსალოდნელია ამოღებული იქნეს 5.000.000 ფუთი მარილი (1913 წელს იყო 26 მილ.). წლების მიხედვით შემდეგი. მარილი მუშავდებოდა: 1915 წელს 22,153,000 ფუთი, 1916 წ. 40.935.000 ფუთი, 1917 წ. 28.373.000 ფუთი, 1918 წ. 23,680 000 ფუთი, 1919 წ. 9.808.000 ფუთი.

მოსკოვის „ჩრეზვიჩაიკის“ [illegible] წყობიდან. დახვრიტეს: ივ. [illegible]ვი—ყოფილი იურისტი; [illegible] და თეთრგვარდიელებთან თანამშრომლობაში და იმაში, რომ მას უნდოდა საზღვარგარეთ გაეყვანა ყოფილ მეფის მინისტრის კრივოშეინის ოჯახი; გოვგი ვასილი და გოვგი ჰელაგია; გოლაკოვსკაია ნინა—ყოფილი წევრი კადეტების პარტიისა ხოლო შემდეგ კომუნისტს უწოდებდა თავის-თავს და ფარულ მუშაობას ეწეოდა პარტიულ ორგანიზაციებში; ალ. მუდროვი—ექიმი ეხმარებოდა თეთრგვარდიელებს სამხედრო ცნობების მიწოდებით; ზედვაკი—აფიცერი; შულცი და პლიუსინი—ბოროტმოქმედებისთვის სასურსათო ბარათებით; კოსტომაროვი—საბარათო განყოფილების გამგე, მოიპარა 2000 სასურსათო და პურის ბარათი; ბარუსინ-რადიონოვი—სხვრილის კომიტეტის თავმჯდომარე, ბოროტმოქმედებას ჩადიოდა სასურსათო ბარათებით; სბოლიჩი და ტალდიკინი—იმავე ბოროტმოქმედებისათვის; ფრიდმანი—სამრეცხაოს გამგე, მოიპარა საპონი და გაყიდა ბაზარზე; ობუხოვი—„გლავკონსერვის“ აგენტი, რომელიც წითელ ჯარს აწვდიდა კონსერვებს, ყალბი დოკუმენტებით აიღო 1,757,000 მან. („იზვესტია“, № 206).

პოლონელი ბოლშევიკი და ზავი პოლონეთთან. რიგაში მყოფ ბოლშევიკურ დელეგაციისა და იმავე დროს პოლონეთის კომუნისტურ პარტიის წევრმა ლეშჩინსკიმ ფინურ გაზ. „სოციალ-დემოკრატიის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ რუსეთისა და პოლონეთს შორის იძულებით შეკრული ზავი არაა სავალდებულო პოლონეთის კომუნისტურ პარტიისათვის. ამ პარტიას არ აინტერესებს არც საზღვრების საკითხი, ვინაიდან მე-3 ინტერნაციონალი პრინციპიალურათ წინააღმდეგია ყოველგვარ საზღვრებისა. ლეშჩინსკის არა სწამს ბურჟუაზიულ პოლონეთის ძლიერების ხანგრძლივობა, ვინაიდან, ამბობს იგი, ნაციონალური აღტყინება დროებითი მოვლენაა. მისი აზრით, რა წამს დემობილიზაცია მოხდება, — პოლონეთი მაშინვე დაიშლება, ვინაიდან გაძლიერდება უმუშევრობა და შესაფერ გავლენას იქონიებს აგრარულ საკითხის მოუწესრიგებლობაც.

აჯანყებები ბოლშევიკების წინააღმდეგ. იჟევს ქარხნებში, ურალზე, აღმოაჩინეს შეთქმულება. შეთქმულებს უნდოდათ ესარგებლებიათ გლეხების უკმაყოფილებით, რაც გამოწვეულია პურის რეკვიზიციით. ვოტკინსკის ქარხანაშიაც გამოსვლა მზადდებოდა. კომუნისტური გაზეთები მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ პროვოკატორებ-მენშევიკებ-ესერების წინააღმდეგ, რომლებიც აგიტაციას ეწეოდენ პეტროგრადის მუშებში და მოითხოვდენ მუშებისათვის ჩექმების მიცემასა და შრომის მილიტარიზაციის მოსპობას.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **დღეს, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი სხდომა.**

◆ **პოლონეთის მისიაში.** საქართველოში მყოფი პოლონეთის საგანგებო მისია აცხადებს საყოველთაოდ, რომ საქართველოს და სომხეთის მთავრობებთან დანიშნული პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ოსტროვსკი შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. მსურველთა მიღება შეიძლება დილის 11 საათ. 12 საათ. მისიის შენობაში პეტრე დიდის ქუჩაზე № 7.

◆ **საფრანგეთის რესპუბლიკის 50 წლის დღესასწაული.** საზეიმო რაუტზე, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის 50 წლის თავის აღსანიშნავად გაიმართა, ამიერ-კავკასიაში მყოფ საფრანგეთის უმაღლეს კომისარის მოადგილემ ნეტემასმა სთქვა, რომ იგი დიდის კმაყოფილებით აღნიშნავს სულიერ კავშირს საქართველოსა და საფრანგეთის შორის. მან უსურვა საქართველოს [illegible] ისტორიულ მაგალითებით საფრანგეთის ცხოვრებიდან და მისებრ მტკიცე გზით იაროს, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ სიმტკიცისაკენ და ეკონომიურ კეთილდღეობისაკენ წაიყვანოს.

◆ **თავდაცვისათვის** როგორც გვატყობინებენ მობილიზაცია ბრწყინვალეთ ტარდება. ხალხი დიდის ხალისით მიდის დანიშნულ პუნქტზე. გუშინ მანგლისის რაიონიდან თფილისში ჩამოვიდნენ გვარდიელები, რომელთაც წინ მოუძღოდა დათა-ზურნა, წითელი დროშები. გვარდიელებს დიდი აღფრთოვანება ეტყობოდათ და გამოსთქვამდნენ სურვილს დროზე გაეგზავნეთ სამშობლოს საზღვრებისაკენ. სადაც ისინი, ფიცს სდებენ „სალ კლდესავით აღემართებიან და მომხდურ მტერს ღირსეულ პასუხს გასცემენ—თუ ვინიცობაა უკანასკნელი განიზრახავს საქართველოს თავისუფლების მოსპობას.

◆ **მუშათა მაგიდამ** მიიღო 4 ვაგონი ახალი კომბოსტო, რომელიც ამ დღეებში თფილისის მუშებსა და მოსამსახურეებს დაურიგდება. მუშათა მაგიდა კიდევ 20 ვაგონ კომბოსტოს მიიღებს.

◆ **ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილებამ** შემდეგი განკარგულება გამოსცა: საქონლით და სხვა პროდუქტებით მოვაჭრეებს ევალებათ: 1) ერთი კვირის განმავლობაში, მიამაგრონ თავიანთი საწონი საგანგებო კავიანი სადგომზე, რომელზედაც აწონის დროს საწონი ჩამოკიდებული უნდა იყვეს 2) საწონი ისე უნდა იყვეს მოწყობილი, რომ მყიდველს შეეძლოს ადევნოს თვალყური როგორც წონასწორობას ისე საქონლის აწონის დროს ისრის მოძრაობასაც. 3)

ამით მოწყობილობის გაკეთების შემდეგ მოიჯარეებმა თავიანთი საწონი, გირები და სადგომი უნდა წარუდგინონ პალატას შესამოწმებლად. ამ განკარგულების დარღვევისათვის დამნაშავეებს კანონიერ პასუხისგებაში მისცემენ ეს განკარგულება ძალაში შედის გაზეთებში გამოქვეყნების დღიდან.

◆ **ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის მორიგ სხდომაზე** გაირჩა ქალაქის მცხოვრებთა მოსალოდნელ აღწერის საკითხი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სტატისტიკური კომიტეტი ფიქრობს მოაწყოს საერთო ქალაქთა მცხოვრებლების აღწერა. მცხოვრებთა აღწერა დაიწყება თფილისიდან, შემდეგ მოხდება ბათომში, ფოთში და სხვა ქალაქებში. ნ. ელიავამ აღნიშნა, რომ მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია მოაწყოს მცხოვრებლების აღწერა ქალაქებში. ეს განსაკუთრებით საჭიროა მომავალ ქალაქთა საბჭოების და პარლამენტისთვის. მოხსენების განხილვის შემდეგ დაადგინეს: მიენდოს დ. კალანდარიშვილს თავის თავმჯდომარეობით შეადგინოს კომისია, რომელმაც უნდა გადასინჯოს სტატისტიკური კომიტეტის მიერ შემუშავებული ბარათები. აგრეთვე განყოფილებას წინადადება მიეცა მიიღოს მონაწილეობა ამ კომისიის მუშაობაში.

◆ **რკინის გზაზე.** გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის საბჭოში შეტანილია მოხსენება საქართველოს რკინის გზების სადგურებზე ბუფეტების, სავაჭრო პალატკების და სადალაქოების იჯარით გაცემის შესახებ. იჯარით გაცემა განზრახულია კონკურენციით. წინასწარი თანხა, რომელიც უნდა შეიტანონ კონკურენციაში მონაწილეობის მსურველებმა, ჯერ არ არის გამორკვეული. დაახლოვებით განზრახულია 10—30 ათასი მანეთის დაწესება.

გზათა განყოფილებამ გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში აღძრა საკითხი ერთი ტიპის აბრების გაკეთების შესახებ, რომლებზედაც ქართულ ენაზე სადგურების სახელები იქნება ჩამოწერილი. ახალი აბრის გაკეთება შეუძლია რკინის გზის მთავარ სახელოსნოებსაც.

◆ **თფილისის სოლქო სასამართლოს თავმჯდომარე** იუსტიციის მინისტრისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ბოროტმოქმედება და კანონის დარღვევის შემთხვევები საგრძნობლად იკლებს, ამიტომ შესაძლებელი არის საგამომძიებლო უბნების შემცირება. მისი აზრით შესაძლებელია შემდეგი საგამომძიებლო უბნების მოსპობა. ყარაიაზის, თფილისის პირველი და მეცხრე საგანგებო უბნების და ახალციხის მეორე უბნის.

◆ **სახელმწიფო ოპერა.** სამშაბათს, 16 ნოემბერს „რიგოლეტო“, ოთხშაბათს 17 ნოემბერს „ევგენი ონეგინი“, პარასკევს, 19 ნოემბერს პირველად ქართულ ენაზე „ლალატი“, შაბათს, 20 ნოემბერს ოპერა მუშებისთვის „რუსალკა“. დასაწყისი 8 საათზე.

◆ **სტუდენტთა კორპორაცია „ფალეთო“.** ამ დღეებში თფილისში დაარსდა სტუდენტთა პირველი კორპორაცია „ფალეთო“. კორპორაციის მიზანია შეაკავშიროს და მატერიალურად უზრუნველყოს თავისი წევრები, რომელთაც საშუალება მიეცემათ უფრო ნორმალურ პირობების შექმნით განაგრძონ მეცნიერების შესწავლა.

◆ **კოოპერატიული სასადილოების გარშემო.** თფილისის კოოპერატივთა კავშირმა წარუდგინა მთავრობას მოხსენება კოოპერატიული სასადილოების შესახებ. დღემდე ასეთი სასადილოების გახსნა ვერ ხერხდებოდა შესაფერ შენობების და ინვენტარის უქონლობის გამო. ახლა ამ საკითხზე მოწვეულ იქნა კოოპერატივთა წარმომადგენლების თათბირი. ამ თათბირმა აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა კოოპერატივთა თათბირის აზრი აცნობოს მთავრობას და მიიღოს სასადილოების გასახსნელად წინასწარი ზომები.

◆ **მეოთხე რაიონული კომენდანტი და ვერის რაიონის შტაბი,** დღეს, საღ. 6 საათზე იწვევს ყველა რეზერვებში მყოფ გვარდიელთ. საჩქარო საქმეების გამო ყველას გამოცხადება აუცილებელია.

პროვინციის ქრონიკა.

— 19 ოქტომბერს სოფ. ავნევში, გორის მაზრა, ველურათ მოჰკლეს აქაური წვრილი მოვაჭრე—პეტრე გოგოშვილი და მისი მეუღლე—სონა 28 წლისა ღამის 3—4 საათ. პეტრე გოგოშვილი გაიყვანეს სოფლის ახლოს და ცულით თავის ისე დაუღეწეს, რომ მეორე დღით ტვინი და ძვლები ძლივს მოაგროვეს. ცოლს ალბათ უნდოდა ქმარი გადაერჩინა სიკვდილისაგან, მაგრამ თვითონაც რევოლვერის ტყვიით დასჭრეს, ბოლოს გულში ჩასცეს ცული და მოჰკლეს. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დაატუსაღა ამავე სოფლის მცხოვრებლები—გიო სიკტურა შვილი, ვანო ჩიხლაძე და გუნიკაშვილი, მაგრამ, როგორც ირკვევა ამათ მალე განთავისუფლებენ. სოფელმა კარგათ იცის მკვლელების ვინაობა, მაგრამ ეშინია, ვინაიდან მათი რიცხვი ბევრი უნდა იყოს. დახოცილებს დარჩათ ოთხი ბავშვი, უფროსი 6 წლისაა.

ოსმალთა სომხეთზე თავდასხმის გარშემო

საქართველოში მყოფ სომხეთის დიპლომატ. მისიის ცნობა.

სამხედრო ცნობები. ნოემბ. 9 ალექსანდროპოლის მიმართულებით ჯაჯურის რაიონში ნოემბ. 12 შევამჩნიეთ, რომ მტერი ახალქალაქის გზატკეცილისკენ მოიწევდა, ნოემბრის 12 ჩვენმა ნაწილებმა შეავიწროვეს მტერი სოფ. ტაბალის ჩრ. აღმ. სიმაღლეზე. ჩვენ წამოვიყვანეთ 8 ჯარისკაცი და 1 ოფიცერი.

სურმალინის მიმართულებით სიწყნარეა. რკ. გზის ხაზზე ჩვენ დავსტოვეთ სად. აგინი. ბრძანების თანახმად მტრის მხრივ ძალდაუტანებლად დავსტოვეთ ჩვენ ქალ. იგდირი. ჩვენმა ჯარმა მდ. არაქ ხაზისკენ დაიხია.

ვულჩია ვოროტანთან ჩვენ მოვიგერიეთ მტრის შემოტევა, რომელიც ნოემბ. 12 დაიწყო.

—

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობის ბეჭვდითი ბიურო იტყობინება:

11 ნოემბერი. რ. ს. ფ. ს. რ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა შეატყობინა რადიოთი ოსმალეთის ნაციონალურ მთავრობას და შემდეგ ოსმალეთის ნაციონალურ ჯარების აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობასა და სომხეთის მთავრობას, რომ მოსკოვში მომხდარ შეთანხმების გამო რუსეთის მთავრობასა და სომხეთისა და ოსმალეთის ნაციონალურ მთავრობის წარმომადგენლებს რ. ს. ფ. ს. რ. იღებს თავის თავზე შუამდგომლობას სომხეთ-ოსმალეთის შორის და ამ მიზნით გზავნის ოსმალეთის ნაციონალურ მთავრობის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლათ ამხ. ბ. მდივანს.

რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობა იმედს გამოსთქვამს, რომ ოსმალეთსა და სომხეთს შორის სამხედრო მოქმედება შეწყვეტილი იქნება.

ამხ. მდივანი და აგრეთვე ამხ. ლეგრანი სამშაბათს მიემგზავრებიან თფილისიდან გუმბრში.

—

სომხეთის მთავრობის მოწოდება.

სომხეთის მთავრობამ მიმართა ხალხს განსაკუთრებული მოწოდებით, რომელშიც აცნობებს ხალხს იმ პირობებს, რომელიც ოსმალეთმა წაუყენა სომხეთს.

სომხეთის მთავრობა იუწყება: ამ გვარი საშინელი პირობის წამოყენება იმის დამამტკიცებელია, რომ მტერს არა თუ მიზნათ არა აქვს ჩვენთან შერიგება, არამედ სცდილობს საბოლოოთ გაანადგუროს სომხეთი და გაჟლიტოს მისი მოსახლეობა.

ამგვარ პირობებში მთავრობას არ შეუძლია რაიმე ნდობით მოეპყრას ოსმალეთის წინადადებებს და ამიტომ მთავრობა მიმართავს სომხის ერის სიფხიზლესა და გონიერებას: „შენ არ გინდოდა დაგეცვა სახელმწიფოს საზღვრები სარიყამიშთან, ყარსთან და გუმბრთან, დღეს მტერი ემუქრება არა მარტო თავისუფლებას, არამედ შენ სიცოცხლესაც. შენ უნდა გამოფხიზლდე სანამ დაგვიანებული არ არის. მტერი მოდის მცირე ძალებით. მისი გამარჯვება შედეგია შენი სისუსტისა. შენ იბრძოლებ და ის არა თუ ვერ მოგსპობს შენ, არამედ დამარცხებული უარყოფს თავის ჯოჯოხეთურ მიზნებს.

მოქალაქენო! სომხეთის მთავრობამ გადასწყვიტა უკან არ დაიხიოს და სასტიკად შეებრძოლოს მტერს. ის არ ღებულობს მტრის მიერ წამოყენებულ ზავის პირობებს. მეტი გამოსავალი არ არის; სომხეთის ჯარო, უნდა მოხდეს გადამჭრელი შეტაკება მტრის ჯართან!

ცოტა რამ ბაზრის კონტროლიორების მუშაობის შესახებ

პროფესიონალური კავშირების მიერ გაგზავნილმა კონტროლიორებმა დაიწყეს მოქმედება ამა წლის 7 მაისიდან. საზოგადოთ მუშები დიდ იმედებს ამყარებდნენ მუშათა კონტროლიორებზე, მაგრამ სამწუხაროდ მრავალი მიზეზების გამო ბევრში არ გამართლდა მათი იმედები.

მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მცხოვრებლები—მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა თანაგრძნობით არ გვეპყრობოდა, არ გვიწევდა შესაძლებელ დახმარებას ბოროტების აღმოჩენაში და ხშირად, შიშით თუ ხათრით, მფარველობას უწევდნენ ვაჭარ სპეკულიანტებს.

თავდაპირველად ჩვენმა მუშაობამ, მიუხედავად მრავალ-გვარი დაბრკოლებისა, სასურველი ნაყოფი გამოიღო, რადგანაც ჩვენ ხელმოწერილ ოქმებს, რომლებიც ქალაქის სასურსათო საზედამხედველოს აგენტებს დახმარებით იყო შედგენილი, მეტი ყურადღებით ეკიდებოდნენ. ერთი თვის თუ თვენახევრის განმავლობაში 20—35% ოქმები სისრულეში იქნა მოყვანილი. დაახლოვებით 20 კაცამდე ვაჭრები (მეხორცეები) იყო დატუსაღებული მარტო მე-5,—მე-2—მე-6 ე,—მე 7,—და მე-4 ე სამილიციო ნაწილში. მართალია, ბევრი მათგანი რაღაც მახინაციების წყალობით მალე იქნენ განთავისუფლებული, მაგრამ, მაინც ამ მოვლენამ ყასბების თავგასულობას დროებით ფრთები შეაკვეცა. რომელსაც კი ოქმების სისრულეში მოყვანა სრულებით შეეხოდა, მას შემდეგ მეხორცეებმა კვლავ დაიწყეს ჩუმად ხორცის გაყიდვა. დილით, როცა მივდიოდით ხორცის დასათვალიერებლად და მოქალაქეებიც ელოდებიან რიგში დამდგარი დუქნების გაღებას, მეხორცეს ან სულ არ აღმოაჩნდება ხორცი და თუ აღმოჩნდა, ან ერთი მეხუთედი, და ან კიდევ უფრო ნაკლები. სხვა აღარაფერი გვრჩება, აგენტები ადგენენ ოქმს. ოქმები ასობით თავს იყრის სასურსათო ქალაქის საზედამხედველოში და ყასბები კი თავისას განაგრძობენ. ზოგი იმ ზომამდე გათამამდა, რომ გვეუბნებიან, სწერეთ რამდენიც გენებოთ, მაგით ვერ შეგვაშინებთო. ყასაბს ს. გოზალოვს აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში 20-ზე მეტი ოქმი აქვს შედგენილი, მაგრამ, ოქმი ოქმად რჩება. ასევე ითქმის ბევრ სხვებზედაც.

ძმები მამაცაშვილები (ვაჭრობენ მე-5-ე სამილ. უბანში, ზოფიის ქუჩა). ერთი გვარდიელი იყო მეორე საგუბერნიო ციხის ყარაულ. (პირველი უკვე გარიცხავთ გვარდიიდან, ხვდებოდენ შეარაღებულნი ნახშირებით და ქართოფილით დატვირთულ ურმებს, ართმევდენ მათ როგორც ამ ვაჟებატონებს მოეპრიანებოდათ ფასებში და შემდეგ ყიდდენ ნახშირს 35 მანეთად გირვანქას. აგენტმა მილორავამ 20 სექტემბერს გამოსაცდელათ იყიდა ნახშირი, ხახვი და ქართოფილი ნიხრზე ზევით ერთი სამად და ორად. მაშვე აღმოაჩნდათ ჩუმათ დაკლული ცხვრის ხორცი. ყველა ზემოხსენებულ საგნებზე აგენტმა ჩემი თანდასწრებით ოქმი შეადგინა, რამაც დამსწრებში სიხარული გამოიწვია, მაგრამ ხსენებული პირები კვლავ განაგრძობენ ძველებურ ყვლეფას. ხსენებული უბნის მცხოვრებნი ხშირად საყვედურით მეუბნებიან: თუ ამაზე მეტი გასავალი არ ჰქონდა თქვენს ოქმს, ტყვილად თავს რად იწუხებდითო.

ტერპოლოსიანს (შუშის საწყობის პატრონი. მუხრანის ქუჩა, № 25). ოქმი შეუდგინეს 7 მაისს შუშის ნიხრს ზევით გაყიდვისათვის. 24 სექტემბერს—შუშა გაყიდა 13,000 მანეთად კუბიკური საჟენი, ნიხრი კი 8000 მანეთი იყო. 8 ოქტომბერს—წყობაში აკლდა საჟენს ¼ არშინ. 2 ოქტ. აკლდა წყობას საჟენს ¼ არშინი და ბევრი გაფრთხილების შემდეგ საჟენი ჰქონდა შემოწმებული. 13 ოქტომბერს—რბილი ხარისხის საჟენი შუშა გაყიდი 14,000 მანეთად.

რამდენი სიყალბე და ბოროტება არ ჩაიდინა ბატონმა ტერ-პოლოსიანცმა: მილიციონერს შეურაცყოფა მიაყენა იმ დროს, როცა ის აგენტმა მიიწვია დასახმარებლად, საქართველოს რესპუბლიკა უდიერი სიტყვებით მოიხსენია და შემდეგ ისე მოაჭახრაკა საქმე, რომ აგენტები და სხვები დამნაშავენი გამოდგნენ და თითონ კი მართალი, რამდენი ერთი უნდა ჩამოითვალო ასეთი ელემენტები.

საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება. საჩქაროდ მოხდეს ოქმების განხილვა და სისრულეში იქნას მოყვანილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თითო ვაჭარ-სპეკულიანტს 5 კანტროლი რომ მიუჩინო, მაინც ვერაფერს გავხდებით...

ბაზრის მუშა-ზედამხედველი ი. შანიძე.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საჯარო სხდომაზე 1920 წლ. ნოემბრის 17 განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

სხდომის გახსნა დილის 10 საათზე. 1) საქმე გიორგი ვასაძისა დიმიტრი ნაკაშიძესთან მამულის თაობაზე. 2) საქმე ნესტორ ნარსიას დავით ქიტიაშვილთან ფულების თაობაზე, 3) საქმე ლუკა მოსე და ნიტიფო ფირცხალაშვილების გრამიტონ ებრალიძესთან ფულების თაობაზე, 4) საქმე ივანე ბურჯანიას ზაქარია ოგანეზოვთან ფულების თაობაზე, 5) საქმე ვანო ნიკოლაიშვილის სოლომონ, მიხა და გიო ნიკოლაშვილთან მამულის თაობაზე. 6) საქმე ალექსანდრე მარგველაშვილის ნიკიტა კარაპეტოვთან სახლის დაცლის თაობაზე. 7) საქმე ალექსანდრე მარგველაშვილის ამბარცუმ კარაპეტოვთან ბინის თაობაზე. 8) საქმე ნინა ფილავას თამარა მაყაშვილის ფულების თაობაზე. 9) საქმე გარდაცვლილ მიხეილ ანდღულაძის ქონების და ობლების მეურავის აბრამ ანდღულაძის და ფილიპე ანდღულაძის ერმილე ანდღულაძესთან ადგილის დაცლის თაობაზე. 10) საქმე ქალ. სიღნაღის თვითმართველობის სიმონა გოგინაშვილთან მამულის თაობაზე.

ფინანსთა სამინისტროში

თფილისის სამრეწველო რაიონის ფაბრიკანტების და მექარხნეების საზოგადოებისაგან ფინანსთა, ვაჭრობა და მრეწველობის მინისტრის სახელზე შუამდგომლობა შემოვიდა შრომის ხელფასის და მუშებისათვის პირველ საჭიროების საგნების მიწოდების შესახებ. ფაბრიკანტთა და მექარხნეთა საზოგადოება თავის შუამდგომლობაში საჭიროთ სთვლის შემდეგ ზომების განხორციელებას: 1) მუშათა მაგიდასთან შემოღებულ უნდა იქნეს სასტიკი ანგარიშის ასრულება, რომელიც დაყრდნობილი იქნება თანამედროვე ბუღალტერიის საფუძველზე. ამასთანავე დაწესებულ უნდა იქნეს, როგორც მაქსიმუმი 3 თვის საანგარიშო პერიოდი, რომლის მიხედვითაც უნდა შედგეს ხარჯთ აღრიცხვა. აღნიშნულ პერიოდის, განმავლობაში უნდა ჩაბარონ ანგარიში და მწარმოებლებმაც საბოლოოდ უნდა ჩააბარონ ანგარიში განსაზღვრულ პერიოდისა. ხარჯთ-აღრიცხვა და ანგარიში საყოველთაოდ უნდა გამოცხადდეს. 2) მომარაგების ფონდის ყოველგვარი ზარალი უნდა გაიწეროს სახელმწიფოს ხარჯზე და სხ. ფაბრიკანტთა და მექარხნეთა საზოგადოება სთხოვს სამინისტროს დაიცვას მრეწველობის ინტერესები და გაუწიოს მას დახმარება მომარაგების ფონდის საკითხის მოწესრიგებაში თანახმად ზემო აღნიშნულ მუხლებში გამოთქმულ სურვილებისა. (სდს).

უცხოეთი

გერმანია.

გაზ. „ფრაიჰაიტი“ ზინოვიევის თეორიების შესახებ.

გაზ. „ფრაიჰაიტი“ სწერს: ზინოვიევმა მოხერხებულათ გვერდი აუხვია ძირითად საკითხს, რომელიც დიტმანმა დაუყენა მას: როგორ ჰხედავენ საბჭოები თავის მოახვიონ ევროპის პროლეტარიატს იგივე პირობები, რომლებსაც ზინო მოაქვს თვით რუსეთშიაც. ზინოვიევი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ განაცხადა: კომუნისტური პარტია იმდენათ მძლავრია, რომ არ ეშინია შეცდომებისა და ნაკლულოვანების. ეს დიალექტიკა, ალბათ, გავლენას იქონიებს ზოგიერთი გულუბრყვილო პირებზე, მაგრამ გერმანიის პროლეტარული მასსა ამით მხოლოდ იმაში დარწმუნდა, რომ მე-3 ინტერნაციონალის ხელმძღვანელები სუსტნი არიან ინტელექტუალურათ.

ინგლისი.

ჩერჩილი ბოლშევიზმის შესახებ.

ვინსტონ ჩერჩილმა დენდიში დიდი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც, სხვათა შორის, განაცხადა: რუსეთი შიმშილით კვდება და მის აგონიაში დამნაშავე ბოლშევიზმია. თუ კი რუსეთი აღსდგება, რაც მე ღრმათა მწამს, ეს მოხდება იმის გამო, რომ ლენინის რეჟიმი ჯერ კიდევ არ გავრცელებულა რუსეთის სოფლების უმრავლესობაში.

საფრანგეთი.

ფრანგები რუსეთის შესახებ.

პარიზის რუსული გაზეთი „ობშჩეე დელო“ სწერს: პარიზში ჩამოვიდენ რუსეთიდან გამოსული ფრანგი მოქალაქენი რიცხვით 111 სული, უმრავლესობა ქალი და ბავშვები. ჩამოსულები აღნიშნავენ იმ აუტანელ მდგომარეობას, რომელშიაც მათ უხდებოდათ ცხოვრება რუსეთში; წითელი მთავრობა დიდათ ავიწროებს ფრანგ მოქალაქეებს.

კოპენჰაგენში ჩამოვიდა 35 ფრანგი მოქალაქე, რომლებიც რუსეთიდან საფრანგეთში მიემგზავრებიან. ესენიც ერთხმათ აღიარებენ, რომ მოსკოვში ცხოვრება აუტანელია. არსებობს არა ნაკლები შპიონაჟი, ვიდრე ეს ძველი მთავრობის დროს იყო. ერთ-ერთ ჟურნალისტის კითხვაზე—რა არის მიზეზი, რომ საბჭოეთში მომავალ ფრანგების უმრავლესობას ქალები და ბავშვები შეადგენენ,—ფრანგებმა უპასუხეს, რომ მამაკაცების უმრავლესობა დახვრეტილია, ან კიდევ ციხეებში დაიხოცა!

ავსტრიაში.

მოსკოვი. 15 ნოემბერი (რადიო) ავსტრიის სოც. დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე პარტიიდან გამორიცხეს მარცხენა ფრთა, რომელიც მომხრე იყო მესამე ინტერნაციონალში შესვლისა.

სოციალური დაზღვევა, როგორც ბრძოლის საშუალება მასის არაუზრუნველყოფასთან საბრძოლველათ

(საავათმყოფო კასების პირველი კონფერენციის მოლოდინში).

II

ჩვენ აღვნიშნეთ პირველ წერილში, რომ სოციალური დაზღვევა ახალი კითხვა არ არის, ის ისე ძველია, როგორც არის ძველი თვით „მუშათა კითხვა“ და მისი წარმომშობი კაპიტალისტური წარმოება და ამ წარმოების წესზე აგებული არსებული ბურჟუაზიული საზოგადოება.

ამ კითხვამ დიდი ლიტერატურა შექმნა ევროპაში და თვით კაპიტალისტურათ ჩამორჩენილ რუსეთშიაც კი და არა მარტო ლიტერატურა, განსაკუთრებულა კანონმდებლობაც ძლიერ ფართო და მრავალფეროვანია ამ სფეროში.

აი როგორ ახასიათებს ერთ-ერთი რუსეთის გამოჩენილი, მუშათა სოციალურ დაზღვევის კითხვის ზედმიწევნით მცოდნე ექიმი ვიგდორჩიკი იმ პირობებს, რომელშიაც იბადება და ვითარდება მუშათა სოციალური არაუზრუნველყოფა (необеспеченность) და მასთან საბრძოლველი საშუალებანი. ვიგდორჩიკი სწერს: *) „ერთი უდიდესი ბოროტებათაგანი არსებულ კაპიტალისტურ წყობილებისა არის სრული არაუზრუნველყოფა ხალხის უმრავლესობისა, მისი სრული უიმედობა ხვალინდელ დღეზე.

ის ცოტაა, რომ კაცობრიობის უმრავლესობა ცხოვრობს ნახევრათ მშიერი, ცუდათ იკვებება, ეკვრება ვიწრო და ბინძურ ქოხმახებში, ეხვევა ძონძ კონკებში—ამნაირი საცოდავი და მეტათ საბრალო მდგომარეობაც კი მისთვის წარმავალია და მუდამ რყევაშია.

დღეს პროლეტარი, როგორც იყო გაძღა, როგორც იყო გამოკვება მან თავისი ცოლშვილი, დღეს მას აქვს რაიმე თავშესაფარი კუთხე, აქვს ქვეშაგები, აქვს ტანსაცმელი, მაგრამ რა იქნება ხვალ, მან არ იცის. ხვალ შეიძლება მას დაუდგეს შიმშილი, ხვალ შეიძლება ის ქუჩაში გადისროლონ, ხვალ შეიძლება მას უკანასკნელი ტანისამოსის დაგირავება მოუხდეს, რომ ბავშვებს ლუკმა პური უყიდოს.

ხვალინდელი დღე დგას პროლეტარის წინაშე, როგორც რამ თავზარდამცემი, დაღვრემილი საშინელება, რომელიც ყოველ წუთს მზათაა შთანთქას მთელი მისი ძლივს-ძლივობით მოპოვებული „კეთილდღეობა“. ეს არაუზრუნველყოფა ხალხის უმრავლესობისა, ეს პროლეტარის ხვალინდელ დღის მუდმივი შიში გამოწვეულია იქიდან, რომ არსებულ საზოგადოებაში „ცხოვრების უფლებით“ სარგებლობს მხოლოდ ის, ვისაც სამუშაო ხელფასი აქვს, უნდა „დაიმუშაოთ“ ფულის განსაზღვრული რაოდენობა, რომ მიიღოთ საჭმელი ტანისამოსი და ბინა, მაგრამ ამ სამუშაო ქირის შოვნაც ყოველთვის არ შეიძლება. სამუშაო ქირა ცვალებადი და წარმავალია და ამიტომაც პროლეტარის ცხოვრებაც ცვალებადი და დაუდგრომელია.

ისპობა სამუშაო ხელფასი და ნახევრად სიმშილი იცვლება სრულ სიმშილზე და აქედან ხომ ერთი ნაბიჯია სიმშილისგან სიკვდილამდე.

იმისთვის, რომ „დაიმუშაოთ“ უნდა იმუშაოთ და რომ იმუშაოთ, უნდა იყოთ ჯანმრთელი, უნდა გქონდეთ სამუშაო ძალა, მაგრამ ესეც ცოტაა, უნდა მონახოთ მყიდველი თქვენი სამუშაო ძალისა, უნდა ეს სამუშაო ძალა ვისმეს მიჰყიდოთ, რადგან პროლეტარს ჰქია არა უბრალო მუშაობა, არამედ უნდა იმუშაოს ფულისთვის, რომ სამუშაო ქირა აიღოს.

ასე ამნაირათ ყველა იმათ, ვინც ცხოვრობს თავისი შრომის გაყიდვით, ყველა დაქირავებულ შრომის წარმომადგენელს არსებულ საზოგადოებაში ემუქრება უმეტესობა ორი მხრით: შრომის უნარის დაკარგვით ერთი მხრით და უმუშევრობის დროს, მეორე მხრით.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ადამიანი კარგავს თავისი კეთილდღეობის საფუძველს — სამუშაო ხელფასს.

მოსპობა ამ საფრთხისა, აი ამოცანა, რომელიც მოითხოვს გარკვევას. ძირიანად ამ საკითხს ახსნის და გადაჭრის მხოლოდ სოციალიზმი.

სოციალისტურ საზოგადოებაში ცხოვრების უფლება, უფლება აუცილებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებისა არ იქნება დამოკიდებული სამუშაო ხელფასზე, რადგან თვით შემეცნება სამუშაო ხელფასი გაქრება ადამიანთა მეხსიერებიდან. ადამიანები იმუშავებენ, მაგრამ მათ არავითარი „დამუშავება“ არ დაჭირდებათ, აუცილებელ სურსათის მიღებათ არ იქნება საჭირო „დამუშავებულ“ განსაზღვრულ ფულის რაოდენობის წარდგენა.

ადამიანს სოციალისტურ საზოგადოებაში არ შეეშინდება ხვალინდელი დღის, პირიქით ის მას შეეყურებდეს იქნება სრული ნდობით, მოელოდეს ახალ-ახალ შთაბეჭდილებებს და ცხოვრების გამოცდილების შევსება-გამდიდრებას.

თუმცა ჩვენ ვილტვით სოციალიზმისაკენ, თუმცა ვესწრაფით მისკენ ძირიანბუდიანათ ყველა ჩვენ მჩაგვრელ ბოროტებათა ამოფხვრას, მაგრამ მაინც შეგვიძლია დღესვე ვეძიოთ ისეთი საშუალებანი, რომლებიც შეძლებას მოგვცემს არსებული კაპიტალისტური წყობილებისაგან გამოწვეული ტკივილები დღესვე, ჩვენს დროში შევამსუბუქოთ.

და აი ამ საკითხში, რომელიც ჩვენ ეხლა გვაინტერესებს—ხალხის უდიდეს ნაწილის არაუზრუნველყოფასთან საბრძოლველათ—პირდაპირი საშუალება მოგვევლინება: ეს არის სოციალური დაზღვევა. სოციალური დაზღვევა არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მიზნათ ისახავს ხელფასის ანაზღაურებას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ხელფასის (ქირის) დაკარგვა ხდება დაზღვეულთაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო.

ასეთი შემთხვევები არის ერთის მხრით უმუშევრობა, მეორე მხრით—შრომის უნარის დაკარგვა: ავათმყოფობის, უბედურ შემთხვევის, დაშავების, დავრდომილების, მოხუცებულობის, მშობიარობის და სიკვდილის გამო *). ყველა ამ შემთხვევებში ხელფასის დაბრუნებით სოციალური დაზღვევა იფარავს დაზღვეულს იმ საშინელ სილატაკისაგან, რომელსაც მოსდევს თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებაში „ცხოვრების უფლების“ დაკარგვას.

აღნიშნულ შემთხვევაში ხელფასი დაზღვეულს უნდა ეძლეოდეს მანამდე, სანამ მას დაუბრუნდებოდეს მუშაობის ნორმალური პირობები და სამუშაო ქირის მიღების სრული საშუალება“.

ეს გრძელი ამონაწერი ამხ. ვიგდორჩიკის მიტომ დავბეჭდე, რომ დაგვენახვებინა მკითხველისათვის სოციალური დაზღვევის თეორია და მისი პრაქტიკის საგნები.

ახალი.

პროფესიონალურ კავშირებში

მზარეულთა კავშირში.

8 ნოემბერს შესდგა მზარეულთა კავშირის წევრთა კრება. კრებას დაესწრო 70 კაცი. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) გამგეობის არჩევნები. 4) მოხსენებები ოფიციანტთა კავშირთან შეერთებისა და ქალაქის საერთო საავათმყოფო კასაში ჩარევის შესახებ.

კრებამ მოისმინა რა მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ, მადლობას უცხადებს მას გაწეულ შრომის გამო და გადადის მორიგ საკითხზე.

სარევიზიო კომისიის წევრის მომხსენებებიდან გამოირკვა, რომ 13 ივლისიდან 29 ოქტომბრამდე კავშირის კასაში შემოსულა 60221 მანეთი, გასავალი კი ამ დროს განმავლობაში უდრის 29748 მან. 27 აგვისტოს კავშირის სასარგებლოთ გამართულ საღამოდან შემოსულა 16124 მან. 13 ივლისს კავშირის კასაში ყოფილა 39,770 მან., 1919 წლის 5 აგვისტოდან 1920 წლის 29 ოქტომბრამდე კავშირის ხაზინადარს ფულათ ქონია 86376 მანეთი.

კრება კმაყოფილი რჩება ამ მოხსენებით. ამის შემდეგ მოხდა ახალი გამგეობის არჩევა. არჩეულ იქნენ: 1) კ. ხმელიძე, 2) გ. კერესელიძე, 3) ა. მოწონელიძე, 4) გ. არჩვაძე, 5) ი. ინაძე, 6) ქ. ხმელიძე. 7) ნ. ცხვედიანი. კანდიდატებათ: 1) ვ. პარკოსაძე, 2) ვ. კალიშოვი 3) მ. დვალი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: 1) ს. გობეჯიშვილი, 2) ი. გოგოლიძე, 3) ქ. გაგნიძე. კანდიდატებათ: 1) გ. არჩვაძე, 2) ნ. ჭანაშვილი 3) ნ. ფურხელიძე.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია მოხსენებამ, მზარეულთა კავშირის ოფიციანტთა კავშირთან გაერთიანების შესახებ. დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

კრება პრინციპიალურად წინააღმდეგი არ არის გაერთიანების, მხოლოდ [illegible] მიზანშეწონილად და შეუფერებლად მიაჩნია ისეთ მუშებთან შეერთება, რომელნიც პროცენტებზე მუშაობენ. გამოდის რა ამ მოსაზრებიდან, კრება ადგენს ეს კითხვა ღიათ დარჩეს სანამ ოფიციანტები ჯამაგირზე გადავიდოდენ.

შემდეგ მორიგ სხდომამდე ღიათ იქნა დატოვებული აგრეთვე საკითხი ქალაქის საერთო საავათმყოფო კასასთან გაერთიანების შესახებ.

ქ. თფილისის ვაჭრობა-მრეწველობის მოსამსახურეთა კავშირში.

5 ნოემბერს კავშირის ბინაზე ამხ. სამუელიანის თავმჯდომარეობით შესდგა კავშირის ყველა რაიონების კომიტეტების კოოპერატივთა სექციის დელეგატთა კრება. განსახილველი იყო: 1) გამგეობის წარმომადგენლის მოხსენება მუშაობის მოწყობის შესახებ, 2) მაღაზიების დაკეტვისა და გაღების დროს მოწესრიგება, 3) კავშირის კონტროლიორის არჩევა. 4) პროფესიონალურ მოძრაობის კურსებზე მსმენელების გაგზავნის შესახებ. 5) სასურსათო კომისიისა და კავშირის პურის ბიუროს მოხსენება, 6) სიძვირის შესახებ.

პირველ საკითხის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი დებულებები: 1) აუცილებლათ უნდა მოხდეს რაიონული ანკეტა, რომ საბოლოოთ გამოირკვეს რაიონული კომიტეტის კონსტრუქცია და გამორკვეულ იქნას რამდენია თითოეულ რაიონში ნამდვილი წევრი და არა წევრი. 2) უნდა შეიცვალოს კავშირის წესდება და დაწესებულ იქნას დელეგატთა კრების უფლება, 3) გადიდებულ იქნას ინსტრუქციაში ნაჩვენები შრომის ინტენსივობა.

არჩეულ იქნა რაიონთა შორის კომისია, რომელიც განიხილავს საკითხს სავალდებულო დადგენილების ზოგიერთ პარაგრაფის შესახებ და შესაფერ დასკვნას წარუდგენს გამგეობას.

მესამე საკითხის შესახებ მიღებულ იქნა, რომ რაიონის კომიტეტის ყველა წევრები იქნენ კონტროლიორებათ, რომელთაც მიეცემათ შესაფერი მანდატი.

წინადადება მიეცა რაიონულ კომიტეტის ყველა წევრებს, რომელთაც სურთ კურსებზე მოსმენა, განაცხადონ ამის შესახებ იმ პირობით, რომ ისინი რეგულიარულათ ივლიან კურსებზე. სასურსათო კომისიის მოხსენებით დადგენილ იქნა პურის ბიუროს მოსამსახურეები გათანასწორებულ იქნენ კავშირის მოსამსახურეებთან და მიეცეთ მათ ავანსათ 10,000 მანეთი თითოს.

ამის შემდეგ განხილულ იქნა რა საკითხი სიძვირის შესახებ, მიღებულ იქნა: „შეგროვებულ იქნას ყველა პირველ საჭიროების საგანი და განაწილდეს მუშებში. ამის მოწესრიგება ავალოს კოოპერატივებმა და მას განკარგულებაში გადავიდეს სასურსათო ორგანიზაციებში არსებული ყველა საშუალებები. 1) გაუმჯობესებულ იქნას სამუშაო ქირა მუშათა ხელფასის გადიდებით 2) მიეცეს ერთდროული დახმარებათ მუშებს 10,000 მ.

ბეჭდვითი საქმის კავშირის

14 ნოემბრის საზოგადო კრების პრეზიდიუმს.

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი გაცნობებთ შემდეგს: აღნიშნულ საზოგადო კრებაზე, როგორც თქვენც გეხსომებათ, არჩევნების წინ გამოქვეყნებულ იქნა სამი სია: ორი ამხ. თამაზაშვილის მიერ და ერთი ვ. ბოლქვაძისა. ამხ. თამაზაშვილის მიერ **პირველად** გამოქვეყნებულ სიაში შედიოდნენ ყველა მიმდინარეობის წარმომადგენლები (ბოლშევიკებიანათ), ხოლო **მეორე** სიაში, რომელიც თამაზაშვილმავე გამოაქვეყნა, შედიოდნენ ყველა მიმდინარეობანი, გარდა ბოლშევიკებისა, ხოლო ამის შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა ბოლქვაძის მიერ წარმოდგენილი სია. რაკი ბოლშევიკებმა შეთანხმებულ სიაზე (ე. ი. პირველ სიაზე) უარი განაცხადეს, კენჭი მეორე და მესამე სიას ეყარა. ჩვენ მომხრე ვიყავით პირველი და მეორე სიისა, რაკი პირველი მოიხსნა (შეთანხმების სია), ჩვენ ჩვენი ხმები ჩვენ **მეორე** სიას მივეცით, ბოლოს კი გამოირკვა, რომ მეორე ნომრით მიდიოდა ბოლშევიკების სია, ვინაიდან, ჩვენს პირველ მოხსნილ სიის შემდეგ, ჩვენი მეორე სია **პირველ ნომრად წოდებულა**, ხოლო ბოლშევიკების—**მეორედ**.

გაცნობებთ რა ზემორეს, ჩვენ ვაცხადებთ, რომ შეცდომით იქნა ჩვენი ხმები მიცემული მეორე ნომრის სასარგებლოდ, ამიტომ მომხდარი არჩევნები ჩვენ მიგვაჩნია უკანონოდ და გთხოვთ უახლოეს დროში მოაწვიოთ საზოგადო კრება არჩევნების ხელმეორედ მოსახდენად.

დამფუძნებელ კრების სტამბის მუშები: **ხვედრიანე ჩხაიძე, ნოე დონდუა, მ. გოცირიძე, ბარ. ჩხარტიშვილი, მ. ხტურუა.**

ერობათა ცხოვრება

გურიის ერობაში.

ერობის გამგეობა პირობით შეეკრა შრომის სამინისტროს 1,000 საჟენი შეშის მიწოდების შესახებ. ერობამ ეს შეშა უნდა მიაწოდოს სამინისტროს ნაწილ-ნაწილათ, დაწყებული ამა წლის ნოემბრიდან, ვიდრე მარტამდე მომავალი წლისა. სამინისტრო იხდის შეშის ფასად იმდენს, რამდენიც დაუჯდება ერობას, ვაგონში ჩაწყობილი 10 პროცენტის დამატებით.

ერობა შეშას ამზადებს სადგ. ნატანებთან ახლოს გურიანთის სატყეო აგარაკში.

— გურიის ერობამ გადასწყვიტა მიიღოს თავის თავზე სატყეო საქმის ხელმძღვანელობა მაზრაში; ეს საქმე დაევალა საადგილ-მამულო განყოფილებას,

---

*) იხ. მისი წიგნის „Государственное обезпеченіе трудящеся“-ს პირ გვერ.

*) აქ არ არის მოხსენებული „სალდათობა“, „კონტრ-რევოლიუცია“ და ბუნების სტიქია. ეს მოვლენები ხშირათ სრულიად ხელოვნურათ ლუკმა-პურს უწყვეტენ მშრომელთ. ასეთ შემთხვევების დაზღვევა ერთნაირი ფილანტროპიაზე იყო დღემდის აგებული, ჩვენმა კანონმდებლობამ კი შემოიღო „სალდათობის“ დაზღვევა, რუსეთში ბოლშევიკებმა კონტრ-რევოლიუციისაგან დაშავებულთა დაზღვევა დააწესეს.

რომლის გამგეს მიენდო სათანადო პროექტის წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა პირობებში უნდა მოეწყოს ტყის დაცვის საქმე. უნდა აღინიშნოს, რომ სატყეო უწყების მოხელენი დიდ დაუდევრობას იჩენენ მოვალეობის შესრულების დროს, რის გამოც ტყეები ბევრ ალაგას უმოწყალოთ იჩეხება.

— გამგეობამ განკარგულება მოახდინა თემების მიმართ, რომ მასწავლებლებსა და ზოგიერთ სხვა ერობის სამსახურში მყოფ პირთ, რომლებიც მძიმე ეკონომიურ პირობებში იმყოფებიან, იაფ ფასებში მიაწოდონ სიმინდი.

— გადაწყდა მოეწყოს პედაგოგიური საბჭოები პირველ დაწყებით სკოლებთანაც. საბჭოს შემადგენლობა ასეთია: სკოლის გამგე თავმჯდომარეთ. წევრებათ მასწავლებლები და თითო წარმომადგენელი მშობელთა წრისა და თემის საბჭოდან.

— ერობამ 2.000 მან. სტიპენდია დაუნიშნა ადგილობრივ გიმნაზიის მოსწავლე ქალს თ. რაზიშვილს.

— გამგეობის დადგენილების თანახმად შესდგა ახალი-სილაურის თემი.

— ერობამ უკვე დაამტკიცა ბასილეთისა და ნიგოითის სააგრარიო რაიონებში „უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე" პირებზე საფონდო მიწების დანაწილების პროექტი. ამ რაიონებში უკვე სწარმოებს მიწის-მზომელთა მუშაობა ამ მიწების ფაქტიურათ დასანაწილებლათ.

— ერობამ გადასწყვიტა გამორიცხოს კერძო საკუთრებათ გასანაწილებელ ფონდიდან და თავის განკარგულებაში დაიტოვოს შავი ზღვის პირის ხაზი ოზურგეთის მაზრის საზღვრებში განით 1½—2 ვერსტამდე და აგრეთვე 250 ქც. მიწა სუფსის რაიონში.

— საერობო უმ. დაწყ. სასწავლებლის და მასწავლებელთ. ეძლევა სასწავლებლის სპეციალური თანხის ხარჯზე გათბობა განათება შემდეგის ნორმით: სასწავლებლის-ბუხარზე ½ საჟ. შეშა; მასწავლებელს ცოლიანს—1 საჟ. და უცოლოს ½ საჟ. შეშა და ნავთი წელიწადში 2 ფუთი.

გათბობა-განათება ეძლევა მხოლოდ იმ მასწავლებლებს, რომლებიც სამსახურის გამო ცხოვრობენ გარეშე თავის ოჯახისა და თემისა.

იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური თანხა არ დაფარავს სამეურნეო ხარჯებს,—ამ საჭიროებისათვის საჭირო ზედმეტი ხარჯი ეკისრება სათანადო თემს.

— ერობამ სახალხო სკოლებს გამოუწერა თითო ცალი შემდეგი გამოცემებისა: „ძერწვა", „პედაგოგიკა" და „ფსიქოლოგია"—როსტომაშვილისა და „შრომის სკოლა".

— ერობის გამგეობამ დაავალა თავის საექიმო პერსონალს წელიწადში ორჯელ მოახდინოს თავის რაიონში არსებულ სკოლების სანიტარული დათვალიერება, რომლის დროს უნდა შეამოწმონ მოსწავლეები და საზოგადოთ მიაქციონ ყურადღება სკოლის სანიტარულ მდგომარეობას და მისცეს შესაფერი დარიგება, რაზედაც უნდა შესდგეს ოქმი და წარმოეგზავნოს ერობას. დათვალიერება უნდა მოხდეს ნოემბერსა და აპრილში.

— ერობის ერთი სტამბა უკვე მუშაობს,—მეორე უფრო დიდი—ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას. ერობის გაზეთის „გურიის ერობის მოამბის" გამოცემაც განახლდება ამ სტამბის მოქმედების დაწყებისათანავე.

— ერობამ ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში ერთი კვირით დაითხოვა ყველა მოწაფეები იმ მიზნით, რომ მოსწავლეები მშობლებს დახმარებოდნენ ჭირნახულის შენახვაში.

თემებში სასურსათო ბეღლების დაარსების შესახებ ერობის გამგეობამ მიიღო საერობო ყრილობისათვის წარსადგენად შემდეგი პროექტი: 1) ყველა თემებში დაწესდეს საზოგადო სიმინდის ბეღელი; 2) ბეღელი უნდა იმყოფებოდეს თემის გამგეობის ხელმძღვანელობაში: 3) ბეღელი ჩაბარებული უნდა ჰქონდეს თემის გამგეობის რომელიმე წევრს (რომელიც პირადათ პასუხისმგებელია სამაზრო გამგეობის წინაშე); 4) ბეღლიდან სიმინდის გაცემა შესაძლებელია თემის გამგეობის მიერ სამაზრო გამგეობის დასტურის შემდეგ; 5) ბეღელი მუდმივი სასურსათო ფონდია და არავითარ შემთხვევაში ბეღლის სიმინდის გაყიდვა დასაშვები არ არის; 6) ბეღლის სიმინდი გაიცემა მხოლოდ სესხად მაზრის დამშეულ ოჯახებზე; 7) სესხად მიღებული სიმინდი უნდა უკლებლივ დაუბრუნდეს ბეღელს, არა უგვიანეს შემდეგი წლის 15 გიორგობისთვისა; 8) ბეღლის სიმინდის რაოდენობა შემდეგ ნაირად განისაზღვრება: პირველი კატეგორია იხდის ორ ფუთიან სამ გოდორს, მე-2 კატ. ორ გოდორს, მე-3 კატეგ. ერთ გოდორს და 4 კატეგორია სრულებით განთავისუფლებულ იქნას; 9) შესატანი სიმინდის რაოდენობა თემის საბჭოს მიერ გაწერილი უნდა იქნეს კომლებზე. რაოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ოჯახის მუშა ხელის რაოდენობა და სიმინდის შემოსავალი, 10) ბეღლის აშენება და მისი შენახვა ხდება თემის ხარჯზე; 11) სიმინდის გაწერა თემის საბჭოს მიერ უნდა მოხდეს არა უგვიანეს 15 ნოემბრისა; 12) სიმინდის გადახდა არ უნდა გადასცილდეს 1 იანვარს 1921 წ.; 13) სიმინდის მოკრება ხდება თემის გამგეობის საშუალებით; 14) ბეღლის ზედამხედველის განთავისუფლება მოვალეობიდან შესაძლებელია მხოლოდ სამაზრო ერობის გამგეობასთან შეთანხმებით

— ერობის გამგეობამ ამ დღეებში სამსახურიდან დაითხოვა და პასუხის გებაში მისცა სავაჭრ. სამრეწ. განყოფილების რწმუნებული სიმ. ურუშაძე იმის გამო, რომ მან გამგეობის ნებადაურთველათ გაიტანა საწყობიდან 43 ფ. სიმინდი და მიითვისა საერობო მაგიდა.

— გამგეობამ კვლავ გაადიდა ნიხრი ნატანებ-ოზურგეთს შუა ურმით ტვირთის გადაზიდვაზე და დააწესა ნაცვლად 35—40 მან. 70 მან. ფუთზე. ამასთანავე გადასწყვიტა ნიხრის შემდეგი გადიდება მოხდეს სატარიფო პალატის დადგენილებით.

— გამგეობის დადგენილებით თითო ახალი კომპლექტი დაემატა პირველ ნოემბრიდან შემდეგ სკოლებს: ქვაბლის, ჟურნათის, მეწიეთის, ბუჭიეთის, შუასურების, თხილაგანის, ქვედა-ბახვის, ლიხაურის, ჯურუყვეთის, აჭის, ხვარბეთის, ამაღლებისა და ჰყუნავარის.

— გამგეობის მიერ უკვე დამტკიცდა მაზრაში საკვირაო სკოლების ორგანიზაციის პროექტი და ამისათვის საჭირო კრედიტი გამოეთხოვა მთავრობას.

— ნიღისთავის უმ—დაწყ. სასწავლებელში დაარსდა მე 4 კლასის პარალელური კლასი, რომლის შესანახი კრედიტი გამოეთხოვა განათლების სამინისტროს.

— სუფსის საექიმო პუნქტზე, რომელიც დღემდე არ მოქმედებდა უექიმობის გამო, უკვე დანიშნა ექიმი და ბებია ქალი, რომელთაც დაევალა კვირაში ორჯელ მიიღონ ავათმყოფები ჩოჩხათის თემშიაც.

— ერობის გამგეობამ დროებით, მთავრობასთან ძაფის ჩაბარების პირობების გამორკვევამდე, შეაჩერა აბრეშუმის მომხვევი ქარხნის მუშაობა; მუშაობა განახლდება მაშინვე, როცა კი გამოირკვევა ეს პირობები.

ხუხეინ.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 11 ნოემბერს შესდგა საქ. სოც. დემ. მუშათა პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი ტფილისის კომ. წარმომადგენლის მოხსენება მობილიზაციისა და გაზეთ „ახალ სხივის" ზოგიერთ ამხანაგების შეუფერებელ გამოსვლების შესახებ.

ზოგიერთ დაწესებულებებში მომხდარ უწესოების გამო არჩეულ საგამომძიებლო კომისიას, რომელსაც გამოძიება არ დაუმთავრებია, კრება ავალებს მომავალი სხდომისათვის წარმოადგინონ ვრცელი მოხსენება.

ფოსტა-ტელეგრაფის მცირე კოლექტივის წარმომადგენლის განცხადება მუშა-მოსამსახურეების ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ, მიღებულ იქნა მხედველობაში.

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის თხოვნა, რომ კოლექტივმა მათ დაუთმოს ათ-ათი ცალი სხვადასხვა ბროშიურები პოლიტიკური შინაარსისა—დაკმაყოფილებულ იქნა.

ამხ. სუხიშვილის და არსენალის მცირე კოლექტ. შორის მომხდარ უთანხმოების გამოსარკვევათ არჩეულ იქნა განსაკუთრებული საგამომძიებლო კომისია.

დასასრულ კოლექტივი ადგენს 18 ნოემბერს მოწვეულ იქნას მცირე კოლექტივებისა და რაიონში არსებულ სახალხო გვარდიის შტაბის წარმომადგენლების შეერთებული სხდომა, სადაც გარჩეულ იქნება ზოგიერთი საჭირ-ბოროტო კითხვები.

თედ. ხუხუნაიშვილი.

ნავთლუღი. 11 ნოემბერს შესდგა მე-7-ე რაიონული კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა ამხ. ჭანგიძის თავმჯდომარეობით. დღიური წეს რიგი იყო: 1) მოხსენება თფ. კომიტეტიდან, 2) განსაკუთრებული კომისიის არჩევა, 3) სოციალურ დამხმარე საზოგადოების დაარსება, 4) იაფ-ფასიანი ფურნის გახსნა, 5) თავდაცვის კომისიაში ახალი წევრების მიღება, 6) ამხ. ფანჯავიძის განცხადება და სხვა. თფილისის კომიტეტიდან მოსმენილ იქნა მოხსენება ამხ. ლორიასაგან, გადაწყდა მხურვალე და ენერგიული მონაწილეობა მიიღოს კოლექტივმა მობილიზაციის ჩასატარებლათ. მეორე კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სარჯველაძემ, რის შემდეგ თავდაცვის მიზნით არჩეულ იქნა შემდეგი ამხ-ბი ლორია, სარჯველაძე, გოგინაშვილი, ბოკერია და მიქაძე. მათ მიეცათ შესაფერი დირექტივები. მესამე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ბოკერია, ის ხაზს უსვამს ნავთლუღის რაიონში სოციალურ დახმარების საზოგადოების დაარსების საჭიროებას. გადაწყდა მომავალ სხდომაზე მოწვეულ იქნას ამხ. ტუმასი ამ კითხვის შესახებ მოხსენების გასაკეთებლათ. შემდეგ ამხ. სარჯველაძე ამბობს, რომ მთელ რაიონში ერთი ხეირიანი ფურნე არ არის, სადაც შეიძლებოდეს ფულიც, რომ ქონდეს მუშას,—პურის ყიდვა. მცხოვრებთა უმრავლესი ნაწილი აუტანელ მდგომარეობაშია. გადაწყდა აღიძრას შუამდგომლობა, იაფ-ფასიანი ფურნის გახსნის შესახებ. რადგან ზოგი ამხ-ბი კოლექტივის წევრები ფრონტზე მიემგზავრებიან, ამიტომ ქვორუმი შემცირდა. ამასთანავე შექმნილ მდგომარეობის გამო კოლექტივი ავალებს პრეზიდიუმს იყოს ყოველთვის თავის ადგილზედ, და გააცხოველოს ყოველმხრივ მუშაობა. თავდაცვის კომისიაში დამტკიცებული იქნა 9 ამხანაგი ფანჯავიძე, მოითხოვს, რომ მისი საქმე იქნეს აუცილებლათ გამოძიებული. რადგან შტაბის თავმჯდომარე ამხ. გვიბრაძე ფრონტზე მიდის დამატებულ იქნა—ამხ. სარჯველაძე.

კომისიამ ერთ კვირაში აუცილებლათ უნდა გამოიძიოს საქმე და წარმოუდგინოს კოლექტივს.

ვ. დოლიძე.

ასურეთი 18 ოქტომბერს 1920 წელს შესდგა ასურეთის რაიონის საქ. რესპ. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრების კრება. რომელზედაც მოხსენება გააკეთა მაზრის კომიტეტის პროპაგანდისტმა ქავთარაძემ.

კრებამ პარტიული მუშაობის გასაძლიერებლად დაადგინა ასურეთის რაიონის 8 უბნად ქვეკოლექტივებათ დაყოფა.

რაიონული კოლექტივი სწრაფათ შეუდგა ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას და ამ ჟამად ასურეთის რაიონში უკვე არის მოწყობილი ქვეკოლექტივები შემდეგ უბნებში: სოფ. დოლინიში, მარაბდაში ასურეთში, შავსაყდარში, დიდი ჩნაგეთში სალირაბენში ორი ქვე კოლექტივი მოსაწყობია. ყველა აღნიშნულ ქვეკოლექტივებში იქნა არჩეული მოწინავე ამხანაგებიდგან პრეზიდიუმი და პარტიული მუშაობა დაიწყო გაცილებით უკეთ, ვიდრე წარსულში.

დიდი ხალისით და ყურადღებით ემზადებიან პარტიული ამხანაგებით მომავალ საერობო არჩევნებისათვის უმეტეს ქვეკოლექტივებიდან უკვე წამოყენებულნი არიან კანდიდატებათ მოწინავე ამხანაგები.

რაიონის კოლექტივის მდივანი ნ. დოლიძე.

ქ. ოზურგეთი. 31 ოქტომბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. ოზურგეთის რაიონულ კოლექტივის მორიგი სხდომა.

კრებამ მოისმინა გურიის კომიტეტის უკანასკნელი სხდომის ანგარიშები, საკითხით გაიზიარა ის და დაადგინა ყოველმხრივ შეეცადოს მის მიერ მიღებულ რეზოლუციათა ცხოვრებაში გატარება.

რაიონულ კოლექტივს ნოემბრის ბოლოს უსრულდება თავისი რწმუნების ვადა. ამიტომ მან დაადგინა: 15 ნოემბრამდე გატარდეს ერთეულების პრეზიდიუმის რეორგანიზაცია; აღნიშნულ დრომდე არსებული საარჩევნო მეტრით და სისტემით, დასახელებულ იქნან ერთეულებში კოლექტივის წევრები.

წარმოდგენილი იქნა კოლექტივის ანგარიშები; მისი დამტკიცება გადაიდო მორიგ სხდომისათვის, მხოლოდ ამხანაგებს (ერთეულების წარმომადგენლებს) დაევალა მათზე დარჩენილ ანგარიშების ამ დროისთვის სავსებით გასწორება.

კრებამ მოისმინა აგრეთვე ქალაქის თვითმმართველობის საბჭოში ჩვენი ფრაქციის და ქალაქის (ჩვენი ამხანაგების) ვრცელი მოხსენებანი და შესაფერი რეზოლუცია მიიღო.

ვ—ო.

მუშათა შორის

მეტყავეთა კავშირში. 9 ნოემბერს შესდგა ბ. ზარგარიანის, ვარტაზაროვის, ბასინცოვის და მინეევის ქარხნებში მომუშავეთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო ასამდე მუშა და მეტყავეთა პროფესიონალური კავშირის მდივანი და თავმჯდომარე. განსახილველი იყო: 1) არჩევნები მეტყავეთა კავშირის დელეგატთა საბჭოსი ამ ქარხნებში მომუშავეთა წარმომადგენლებისაგან. 2) მომატების საკითხი. 3) მოსალოდნელი ლიკვიდაცია. 4) ადუღებული წყლით უზრუნველყოფა მუშებისა. 5) ავანსი შეშის შესაძენათ.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს მეტყავეთა კავშირის მდივანი, უკანასკნელი მოკლეთ აცნობს ამხანაგებს კავშირის მდგომარეობას და აღიარებს დელეგატთა ყრილობის მოწვევის საჭიროებას. ის მოუწოდებს კრებას მოახდინონ დღესვე არჩევნები მომავალ დელეგატთა საბჭოში. ლაპარაკობს რამოდენიმე მუშა, რომელნიც თავის მხრივ საჭიროდ სცნობენ დელეგატთა ყრილობის მოწვევას და აღუთქვამენ კავშირს თავის მხრივ ყოველგვარ დახმარებას, კავშირის ყველა საქმეებში. დელეგატთა საბჭოში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1) სტეფანე გოზალოვი 2) მერაბოვი ნიკოლოზ 3) მანუკოვი სიროპ. 4) შაქრო ალოჯანოვი. მეორე საკითხზე სიტყვას ამბობს ამხ. მანუკოვი, რომელიც ასწერს ამხანაგების მდგომარეობას და მოითხოვს ჯამაგირების მომატებას.

რამოდენიმე ამხ. რომელნიც ლაპარაკობენ მომატების საკითხზე, ერთხმათ აღიარებენ მომატების საჭიროებას, რადგან ის ხელფასი, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ ერთ კვირასაც არა გვყოფნის მარტო პურის საყიდლათ. შემდეგ კავშირის მდივანი ვრცლად ეხება დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობის გაუარესების მიზეზს და მიუთითებს იმ დამღუპველ შედეგებზე, რომელიც შეიძლება მოყვეს ფულის მომატებას.

ამიტომ ჩვენ უნდა უარვყოთ ჯამაგირების მომატება და მოვითხოვოთ ულუფის გადიდება. ამასთანავე ყოველგვარი მოთხოვნილება, რომელიც იქნება თქვენგან წარმოდგენილი, უნდა იქმნეს აწონილ-დაწონილი, უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული სახელმწიფოს ინტერესები. ჩვენ ერთ წუთსაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მდგომარეობის ავ-კარგიანობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ავკარგიანობაზედ. ხანგრძლივ მსჯელობის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება: უარყოფილ იქმნას ჯამაგირის მომატება, როგორც უვარგისი საშუალება მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. მოითხოვოს ვისაც ჯერ არს, რათა გადიდებულ იქმნას პურის რაციონი 2 გირვანქამდე. მოგვეცეს მუდამ თვე რეგულიარულათ შაქარი, ქართოფილი, ხახვი, ნავთი და სხვა. მოგვეცეს ზამთრისთვის შეშა.

მესამე საკითხზე კრება ადგენს: მიენდოს ადგილობრივ საქარხნო კომიტეტს კავშირის დახმარებით ამ საკითხის მოგვარება. მე 4 და მე-5 საკითხების მოგვარება მიენდო ადგილობრივ მუშათა კომიტეტს.

განიკო.

პროვინციაში

გოჭოური (ქუთაისის მეორე უბანი). ქუთაისის მეორე უბანი გოჭოური საერთოდ ქალაქის სხვა უბნებთან შედარებით ძლიერ ჩამორჩენილია, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ თვით ქალაქის გამგეობა გოჭოურის მცხოვრებთა თხოვნას და აუცილებელ საჭიროებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მიყრუებული კუთხის მცხოვრებმა ხმა აღიმაღლეს და მრავალჯერ მიმართეს ქალაქის თვითმართველობას ხვეწნით, რომ ქალაქი დახმარებოდა გზის გაკეთებაში, სინათლის გაყვანაში, რომელსაც მოკლებული არის აქაური მცხოვრებნი.

გოჭოურის მცხოვრებნი უმთავრესად მშრომელი ხალხია,—ამ მიყრუებულ უბანში რევოლიუციის პირველ დღეებში რამოდენიმე პირთა თაოსნობით და მასთან მოსწავლე ახალგაზრდობის დახმარებით დაარსებულ იქნა სამკითხველო. სამკითხველოს დაარსებას პირველ ხანებში ყველა აღფრთოვანებით შეხვდა და თანდათანობით მისი მსვლელობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ექვსი თვის შემდეგ სამკითხველოს გამგეობის წყალობით ეს დაწესებულება დაიხურა. დღიდან დაკეტვისა უკანასკნელ ხანამდე ორმა წელმა განვლო და ამ ხნის განმავლობაში გამგეობა სამკითხველოსი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ დაწესებულებას და არ იძიებდა მიზეზს მის დაკეტვისას. სამკითხველოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მოწვეულ იქმნა ამ სამი თვის წინ საერთო კრება გოჭოურის მცხოვრებლებისა, რომელზედაც არჩეულ იყო ახალი გამგეობა.

ახალი გამგეობა არჩევნების პირველ დღეებში უცბად დატრიალდა საქმისათვის და საზოგადოების მხრით ყურადღება მიიქცია. მაგრამ მათი მოღვაწეობა ძველი გამგეობის მოღვაწეობას შორის არ გასცილებია.

ასე რომ სამკითხველოს საქმე ისევ გამოსწორებელი დარჩა. ის თანხა, რომელიც სამკითხველოს ჰქონდა, ამ დაწესებულებას დიდხანს არ შეინახავდა. ამ მიზნით ისევ აქაურმა ახალგაზრდობამ განიზრახა საღამოს მოწყობა. საღამო, რომელიც დიდ თანხას შესძენდა ამ ღარიბ სამკითხველოს, თავმჯდომარის მეოხებით არ შედგა. სამკითხველო ისევ უნუგეშო მდგომარეობაში დარჩებოდა, რომ თვით დამაარსებელს ამ სამკითხველოსას გიორგი ჯანელიძეს ყურადღება არ მიექცია. მან სამკითხველოს დროებით სახლი უშოვა, რომელიც არ არის ხალხისათვის ჯეროვან ადგილზე გახსნილი.

საჭიროა, ვისგანაც ჯერარს ასეთ კულტურულად ჩამორჩენილ „უთაოსნო" ბედშავ საზოგადოებას ყურადღება მიექცეს.

მეთვალყური.

ს. ზემო-ნოღ. (ქუთ. მაზრა) ერთი თვე არის მას შემდეგ, რაც სოფელ ზემო-ნოღაში, გაიმართა დიდი საღამო ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნა „ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს" და „უბედური დღე". წმინდა შემოსავალი დარჩა 11,600 მანეთი. იმედია სცენის მოყვარენი, მომავალშიაც გამართავენ წარმოდგენებს.

ბახვის თემი (გურია) ეს თემი კარგა მოზრდილია და 7 სოფლისაგან შესდგება. ბახვში არსებობს უმაღ. პირ. დაწყებითი სასწავლებელი, დაბალი პირ. დაწყ. სკოლა, კოოპერატივი, ფოსტა და სხვ.

პარტიული მუშაობა ამ თემში ვერ მიმდინარეობს კარგათ, მეტადრე ზოგიერთ სოფლებში.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ ადგილობრივ უმაღ. დაწყ. სასწავლებელში მასწავლებელს დანიშნულიდან 2—3 თვის შემდეგ თავს ანებებდენ სკოლას. არ იცდიან არც ადგილობრივი პირნი. მიზეზი არ ვიცი, მხოლოდ იმედია ამას ყურადღებას მიაქცევს განათლების განყოფილება, რომ მასწავლებლებმა ასე ადრე არ მიატოვონ სკოლა და მით მოწაფეებს სწავლის წყურვილი არ დაუხშიონ.

თემის გამგეობა შეუდგა გზების გაკეთებას. დაიწყო მუშაობა, მაგრამ სისრულეში ვერ მოიყვანა და დღეს ისევ ძველებურად მიტოვებულია.

14 ოქტომბერს შესდგა ბახვის თემის მასწავლებელთა კრება, რომელზედაც დიდი კამათის შემდეგ დაადგინეს „პროტესტი გამოეცხადოს ერობის გამგეობას მასწავლებელთა უყურადღებობისათვის და ეთხოვოს სამაზრო მასწ. კავშირის გამგეობას, რომ მოიწვიოს მაზრის მასწ. კრება, სადაც განხილული იქნება საკითხი მასწავლებელთა ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

განზრახულია ბახვში სამეურნეო სასწავლებლის დაარსება ეხლანდელ პირველ დაწყებით სკოლის შენობაში, რომელსაც ახლავს საუცხოვოთ გაშენებული ბაღი. იმედია მოწინავე ინტელიგენცია ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს.

ხშირმა წვიმებმა არ მისცა ხალხს საშვალება ნამუშევრის შენახვისა. მხოლოდ ღვინის მოსავალი სულ დაიკარგა.

გრ. ბახველი.

რედაქტორი ლევან წითაძე.

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა -კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

მე ესტატე ბურიაშვილმა, **დავკარგე** ფული 25,000 მან. რომელიც იყო ჯვარდიის წიგნაკში, მპოვნელს ვთხოვ წიგნაკი გამოგზავნოს შემდეგი მისამართით: ნაძალადევის უბნის სახ. გვარ. შტაბში. წიგნაკის საერთო № 653. რაიონული № 27. (3680—1—1)

ექიმი **რეზო მაჩაბელი** კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სისუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემლის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი **ა. ლევენშტეინი** შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12—დეკ.

ექიმი **ი. ა. ტერ-ავაკუმოვი** გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ № 28. ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606" და 914" შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—8 საათ. (13 დეკ.)

ქართულ და რუსულ საშუალო **სასწავლებელში** 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 კლასში შესასვლელად ვამზადებ ყველა საგნებში. ვასწორებ მათემატიკაში და ენებში ჩამორჩენილ მოწაფეებს. პლეხანოვის ქ. № 25, (შესავალი ალექსის ქ. 5) 9—12 საათ. 4—5 მაჩაბლის ბინა. (3627 5—4)

ქირურგიული და ქალთა სნეულების **საავათმყოფო** სამშობიარო განყოფილებით ექიმის **ბოკერიასი** (პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი **გ. ა. შაფრანი** სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი [illegible] ქ. № 33. 21 დეკ.)

ექიმი **გ. ნ. მაგაკიანი** შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლევების და სხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი** სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

ექიმი **ნიკოლოზ მახვილაძე** განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემლის აფთიაქის მახლობლად. ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.

მედიცინის დოქტორი **ა. ა. მონსე** განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი. გიპნოზი. მიღება: დილის 10½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმი **გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი** (ქუთაისიდან) ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს. საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (16—ნოემ.)

თვალის ექიმი **ზ. მ. ცხვედ[illegible]** ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ექიმი **სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი** (ქუთაისიდან) იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი **ნ. ა. არუთინოვი** სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ენდოსკოპია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 10—13 ნახ. ს. საღ. 5—7 საათამდე. 13—დეკ.)

ექიმი **ნ. პ. ფალიაშვილი** სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი. ვაქცინოთერაპია, სეროტერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ჟამის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

დოქტორი **გ. გ. მეგრაბიანცი** შინაგანი ავადმყოფობა—ქლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ.

კბილის ექიმი **ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა** ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

დოქტორი მედიცინისა **ვ. პ. მოსეშვილი** დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება. ექიმი **მ. ო. ზანდუკელი** შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიას ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი **გ. ი. ოქროპირიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყ. [illegible] საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ექიმი **ა. დ. კეკელია** სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო ელექტრონის, რენტგენის და სინათლის **მიხეილ გედევანიშვილისა** დილისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორდანოვის ქ., 26, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი დავით ლუკას ძე **კიღურაძე** შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი **ე. ი. კალანდაძე** ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შშ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემლის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

ექიმი **ა. ტყეშელაშვილი** ღებულობს ავათმყოფებს: საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7½ საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16-ნოემ.)

ქალაქის ელექტრონის სადგური ამით აცხადებს რომ მიღება **ახალი აბონენტების** შეწყვეტილია და არავითარი განცხადება შეერთების შესახებ განხილული არ იქნება. (3683—1—1)

[illegible] სტამბა, გრიბოედოვის ქუჩა №4